ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 15 ივნისი, 2016 №140 (7066) ფასი: 50 თეთრი

## პაატა იმნაძე: „საქართველოში ზიკას ვირუსის საფრთხე არ არსებობს“

გვ.7



14 ივნისიდან
ალბერტო მორავია
ჩოჩარა
ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 6
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# ბიძინა ივანიშვილი: „მე პოლიტიკაში აღარ დავბრუნდები, რადგან ეს საჭირო აღარ გახდება“



გვ.3

## „ქართულ ოცნებას“, კვირიკაშვილის ლიდერობით, ალტერნატივა არ გააჩნია“

„კოალიციური მთავრობა პრობლემა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, დემოკრატიისთვის კარგია და ამას ევროპელები და ამერიკელები მიესალმებიან. ჩვენ გვქონდა კოალიციური მთავრობა და ჩემი პიროვნება აბალანსებდა სიტუაციას, მაგრამ ახალ პირობებში და ახალ არჩევნებზე თუ 80%-ზე ნაკლებს მიიღებს „ქართული ოცნება", ეკონომიკური რეფორმების გატარება გაძნელდება"

## მიხეილ მაჭავარიანი: „ვანო მერაბიშვილი მალე თავისუფალი იქნება“

— გვ. 2 —

ევროპული სასამართლო ახალაიასა და უგულავასაც გაამართლებს?



## ვანო მერაბიშვილი ციხიდან არ გათავისუფლდება



გვ.4

## ზაალ კასრელიშვილი: „კარგია, ვიზალიბერალიზაცია არჩევნებამდე რომ არ მოგვცეს“



გვ.5

„როგორც კი ქვეყანა საგარეო კურსს შეიცვლის, ხელისუფლება შეიცვლება“

ISSN 1987-9385
9 771987 938006



## უკრაინელი ექსპერტები: სააკაშვილი შემოდგომაზე საქართველოში ბრუნდება

ინალ არძინბას ოდესის ოლქში სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ

გვ.5



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მიხეილ მაჭავარიანი: „ვანო მერაბიშვილი მალე თავისუფალი იქნება“

## ევროპული სასამართლო ახალაიასა და უგულავასაც გაამართლებს?

შორენა მარსაგიშვილი

**როდის გამოვა ციხიდან ვანო მერაბიშვილი, ჰყავდათ თუ არა ნაციონალებს პოლიტპატიმრები, აყალბებდნენ თუ არა არჩევნებს, რაზე გადააქვს ხელისუფლებას ყურადღება, ვინ დაუმალა ივანიშვილს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**



**მიხეილ მაჭავარიანი:**

– ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში ისეთი ხალხი მოიყვანა, რომელიც მას უსიტყვოდ ემორჩილება. იმდენად ღრმა მორჩილებაში არიან, რომ სიმართლის თქმასაც კი ვერ უბედავენ. მათ ივანიშვილს ისიც კი ვერ უთხრეს პრესკონფერენციის წინ, თუ რა განაჩენი დადგა ვანოსთან დაკავშირებით. მისი პასუხიდან გამოჩნდა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა.

გვინდა თუ არა, მერაბიშვილი მესამე პოლიტიკოსია, რომელიც ადამიანის უფლებათა სასამართლომ მოიხსენია და მე-18 მუხლი მიუყენა. ეს მუხლი იულია ტიმოშენკოსა და იური ლუცენკოს მიუყენეს. ის კიდევ რამდენიმე ადამიანს შეეხო. უკრაინის ექსპრეზიდენტი იანუკოვიჩი იძულებული გახდა, იური ლუცენკო გამოეშვა, ტიმოშენკო არ გამოუშვა და ყველამ ვნახეთ, როგორ დაამთავრა. მე-18 მუხლი შეეხო აზერბაიჯანელ ბლოგერსაც. ალიევიც კი პირდაპირ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და ბლოგერი გაათავისუფლა.

***– ალიევმაც კი გამოუშვაო და ამით რისი თქმა გინდათ, რომ მერაბიშვილის გამოშვებაც მოუწევთ?***

– თუ ეს გადაწყვეტილება არ აღსრულდება, დასავლეთში საქართველოზე იტყვიან, რომ ის არის ქოცური ქვეყანა – ივანიშვილს არ უნდა და არ უშვებენ. ის ამით თავს იწონებს, ხალხს ეუბნება, სამართლიანობა როგორ არ აღვადგინე, მერაბიშვილი, უგულავა და ახალაია დავიჭირე, სააკაშვილი და სხვა ლიდერები გავაქციეო.

უგულავა და ახალაია ვახსენე და მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, რომ მათზეც ზუსტად ანალოგიურ გადაწყვეტილებას ველოდებით, ოღონდ ეს ოდნავ მოგვიანებით მოხდება. აქამდე თუ მარტო პედრო აგრამუნტი ამბობდა, რომ მერაბიშვილი პოლიტპატიმარია, ახლა ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიტიკური ნიშნით არის წინასწარი პატიმარი.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ საბოლოო განაჩენი არ გასაჩივრებულა და მხოლოდ დაპატიმრებაზე იყო სარჩელი შეტანილი. მაგას გავასაჩივრებთ მაშინ, როცა მესამე – საბოლოო ინსტანცია მიიღებს გადაწყვეტილებას. სტრასბურის წესებით, მხოლოდ მაშინ შეიძლება წახვიდე მანდ, თუ ყველა ინსტანცია მოიარე.

***– ირაკლი კობახიძემ გააკეთა განმარტებები, რომ ნაციონალები იტყუებით და სტრასბურის სასამართლოს არ უთქვამს, მერაბიშვილი უკანონო პატიმრობაშიაო.***

– ეს ირაკლი კობახიძე ვინ არის? წარმოდგენა არ მაქვს.

***– ვინ არის და პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანია.***

– თუ აღმასრულებელი მდივანია, მიხედოს საკუთარ თავს, პარტიას და ტყუილების ლაპარაკს თავი დაანებოს. გადაწყვეტილებაში წერია, რომ ვანო პატიმრობაში უკანონოდ იმყოფება. ლენინს რომ ცალკე უბეჭდავდნენ „პრავდას“, ასე უბეჭდავენ ივანიშვილს ცალკე განაჩენს თუ რა ხდება? ირაკლი კობახიძესთან ერთი მარტივი კითხვა მაქვს: რომელი პატიმრის მიმართ იქნა საქართველოში აქამდე მე-18 მუხლი გამოყენებული? ასეთი რამე პირველად მოხდა.

***– არც თენგიზ ასანიძის მიმართ იყო ეს მუხლი გამოყენებული?***

– არც მის მიმართ ყოფილა ეს მუხლი გამოყენებული. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ეს მუხლი იქნა გამოყენებული. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ვანო პოლიტიკური ნიშნით არის დაპატიმრებული და, უნდათ თუ არა, მისი გამოშვება მოუწევთ.

***– რომ არ გამოუშვან?***

– იანუკოვიჩმაც არ გამოუშვა ტიმოშენკო და ყველამ ვნახეთ, როგორც დაამთავრა.

***– ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ. პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე ასე ამბობს.***

– აზრი არა აქვს. გასაჩივრება შედეგს არ მოიტანს.

***– ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ?***

– იმიტომ, რომ საქმეს 7 მოსამართლე განიხილავდა და ყველამ დაუჭირა გადაწყვეტილებას მხარი. იმედია, საქართველოს ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რასთან გვაქვს საქმე. არც ის უნდა დაავიწყდეთ, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი გადასაწყვეტია. ამ ხელისუფლების უნიათობის წყალობით ისედაც გაჭიანურდა ამ საკითხის გადაწყვეტა.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ თუ მერაბიშვილი არ გამოუშვეს, ვიზალიბერალიზაციას არ მივიღებთ?***

– ქვეყანას, რომელსაც პოლიტპატიმარი ჰყავს, ვიზალიბერალიზაციის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ევროპულმა სასამართლომ შავით თეთრზე დაწერა, რომ მერაბიშვილი პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ითქვა, რომ საქართველოში პოლიტპატიმარი არსებობს.

***– პირველი შემთხვევა როგორ არის? თქვენ დროს არ იყვნენ პოლიტპატიმრები?***

– ჩვენ დროს პოლიტპატიმრები არ ყოფილან. ეს არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ უღიარებია.

***– საქართველოს პარლამენტმა 200-მდე ადამიანი აღიარა პოლიტპატიმრად. ამაზე რას იტყვით?***

– ბესელიას მიერ აღიარებულ პოლიტპატიმრებს პოლიტპატიმრებად ვერ ჩავთვლი. პოლიტიკური ნიშნით ვანო მერაბიშვილია დაკავებული და ეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომაც დაამტკიცა.

***– სავარაუდოდ, როდისთვის ელოდებით მის გათავისუფლებას?***

– რაც მალე მოხდება, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

***– ვანო მერაბიშვილის ამბავში თქვენ და „ქართული ოცნება“ გარიგებული ხომ არ ხართ? სულ ახლახან დავით კოღუაშვილმა განაცხადა, ვანო გარემოების მსხვერპლიაო. მაშინვე ითქვა, ისინი ხალხს აგუებენ, რომ მერაბიშვილს მალე გაათავისუფლებენო.***

– მერაბიშვილს რომ მალე გაათავისუფლებენ, ეს ფაქტია. ეს გადაწყვეტილება ევროპულმა სასამართლომ მიიღო და „ქართულ ოცნებასთან“ გარიგება ვის რაში სჭირდება. ძალიან მალე უგულავა და ახალაიაც გამართლდებიან.

***– იგეგმება თუ არა ვანო მერაბიშვილის ნაციონალების საარჩევნო სიაში ჩასმა?***

– სანამ არ გაათავისუფლებენ, ამაზე ვერ ვისაუბრებთ. კანონით, მსჯავრდებულის სიაში ჩასმა არ შეიძლება. დაველოდებით მის გათავისუფლებას, მაგრამ აქაც მოგვიწევს ლოდინი – ვანოც თანახმა უნდა იყოს სიაში ჩასმაზე.

***– თავში ივანიშვილის პრესკონფერენცია ვახსენეთ და ამ ღონისძიებაზე მან განაცხადა, რომ თქვენ არჩევნებს აყალბებდით. ეს ბრალდებები სხვებისგანაც ისმის. თავად რას იტყვით ამის შესახებ?***

– ჭორიკანა კაცს ჭორაობაში არასოდეს ავყვები. ზნეობაზე, როგორც ჩანს, ჩვენ სხვადასხვანაირი წარმოდგენა გვაქვს. იმის მაგივრად, რომ ივანიშვილი ხალხის პრობლემებზე საუბრობდეს, არ აპირისპირებდეს საზოგადოებას, ფიქრობდეს, როგორ გამოიყვანოს ქვეყანა იმ სიტუაციიდან, რომელშიც მისი მმართველობის დროს შევიდა, ისევ ჭორაობს და რაღაცებს იგონებს. რა არჩევნების გაყალბება, ვინ დაადასტურა ეს ინფორმაცია. ამ ადამიანს უნდა, ამ თემებზე ვუპასუხო, მაგრამ არ ვაპირებ.

მე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს – მან და მისმა მთავრობამ ქვეყანა შეიყვანეს ძალიან ღრმა ეკონომიკურ კრიზისში. ხალხი გაღარიბდა, საქართველო აღარ არის საინტერესო. ყველა შეცდომა, რისი დაშვებაც შეიძლებოდა, დაუშვა ივანიშვილმა. ამიტომაც ეშინია მას პროპორციული არჩევნების და იმედს მაჟორიტარებზე ამყარებს, რომ ვიღაცებს გააძვრენს. ვერავისაც ვერ გააძვრენს. არჩევნები ვერ გაყალბდება, ამის იმედი ტყუილად აქვთ. საქართველოში არჩევნები არც არასდროს გაყალბებულა.

***– არც თქვენ დროს?***

– უბრალოდ, ვერ გაყალბდებოდა. ალბათ, გახსოვთ, რა ამბები იყო ატეხილი საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, არჩევნებს იმ სიებით ატარებენ, რომლებიც 2012 წელს დავდეთ და რომლებიც ასე დაგმეს. ამ პერიოდში ბიომეტრიული სიაც კი ვერ გააკეთეს. ჩემ მიერ არჩევნების გაყალბება ისეთივე მართალია, როგორც ტარიფების გამესამედება და 700 ქარხნის აგუგუნება.

არჩევნების გაყალბების დაბრალება რატომ მიკვირს, ეს ადამიანი ჭორვილის დონეზეც კი დავიდა და სოფლის ორღობეში დააპირა საქმის გარჩევა.

***– რა საქმეს არჩევდა ჭორვილის ორღობეში?***

– განაცხადა, თითქოს სტადიონი მივიტაცე. მთელმა სოფელმა კარგად იცის, რომ მამაპაპეული ადგილი ერთი სანტიმეტრით არ გადმოგვიწევია. დამაბრალოს, რამდენიც უნდა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ გამუდმებით წარსულზე საუბრობს და ხალხს ერთმანეთთან აპირისპირებს.

მე რომ არჩევნების გაყალბებას მაბრალებს, ეს არაფერია იმ ბრალდებასთან შედარებით, რომელიც მან საქართველოს დააბრალა, განაცხადა, ნაციონალებმა ისე წარმოაჩინეს, თითქოს 2008 წელს ომი რუსეთმა დაიწყოო. ამის თქმა არის უნამუსობა. ყველა საერთაშორისო დასკვნაში წერია, რომ ომი დაიწყო რუსეთმა. ივანიშვილმა იქნებ ისტორიაც შეცვალოს და თქვას, რომ რუსეთმა საქართველოს სამეფო არ გააუქმა, ან იქნებ არც 1921 წელს დაუპყრიათ ჩვენი ქვეყანა. აფხაზეთის ომშიც არაფერ შუაში ყოფილან რუსები.

მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, გამუდმებით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ და ათას ტყუილს იგონებენ.

***– ამ ომზე ნაციონალებსაც გაბრალებენ ტყუილების მოგონებას, ხშირად ამბობენ, რომ წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადეთ.***

– იმ ომში ჩვენ მართლა გავიმარჯვეთ, რადგანაც პირველად მოხდა, როცა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიჭრნენ რუსული ტანკები და იქ ხელისუფლება არ შეცვალეს.

---



## იან კელი მერაბიშვილის საქმეზე: „მნიშვნელოვანია, რომ პროცესი ყველასთვის ობიექტური და სამართლიანი იყოს“

საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოში აშშ-ის ელჩი ეხმაურება. იან კელი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია, ყველა პროცესი ობიექტური იყოს.

– მნიშვნელოვანია, რომ პროცესი იყოს ობიექტური და სამართლიანი ყველასთვის. რა თქმა უნდა, ყურადღებით მივადევნებთ თვალს ამ საქმეს. მოხარული ვარ, რომ სააპელაციო სასამართლოში რამდენიმე საქმე მიმდინარეობს საერთაშორისო კუთხითაც. ასე რომ, მნიშვნელოვანია, ყველა პროცესი ობიექტური იყოს, – განაცხადა იან კელიმ.

**ნიუპოსტი**

---

## გიორგი კვირიკაშვილი არჩევნების შემდეგ პარლამენტში დარჩენას არ აპირებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც შესაძლოა არჩევნების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარედ გიორგი კვირიკაშვილი აირჩიონ. მთავრობის მეთაურის განცხადებით, არჩევნების შემდეგ პარლამენტში დარჩენას არ აპირებს.

– მე არ ვაპირებ პარლამენტში დარჩენას, გამორიცხულია, მე ვაპირებ იმ თანამდებობაზე ყოფნას, სადაც დღეს ვარ, რადგან ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს. რაც შეეხება დიმიტრი ქუმსიშვილის დანიშვნას პირველ ვიცეპრემიერად, ეს იმით არის გამოწვეული, რომ მე და კახი კალაძე ვიქნებით ძალიან აქტიურად ჩართული არჩევნებში. ეკონომიკურ გუნდს სჭირდება ძალიან კარგი კოორდინაცია და აქედან არის გამოწვეული ეს დანიშვნა. ამიტომ ყველანაირი დანარჩენი მითქმა-მოთქმა და სპეკულაცია ამ საკითხთან დაკავშირებით უადგილოა, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.



**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „მე პოლიტიკაში აღარ დავბრუნდები, რადგან ეს საჭირო აღარ გახდება“

## „ქართულ ოცნებას“, კვირიკაშვილის ლიდერობით, ალტერნატივა არ გააჩნია“

ნათია ხურცილავა

**ყოფილი პრემიერ-მინისტრი აგრძელებს ჟურნალისტებთან შეხვედრას. გუშინ, 14 ივნისს, ბიძინა ივანიშვილი დაახლოებით სამი საათი პასუხობდა უცხოური და ადგილობრივი ბეჭდური და ინტერნეტმედიის მიერ დასმულ შეკითხვებს.**

პირველი შეკითხვა, რომელიც „ახალი თაობის“ მიერ იყო დასმული, ვიზალიბერალიზაციის საკითხს ეხებოდა.

***– რა გავლენას იქონიებს მნიშვნელოვანი არჩევნების წინ აღნიშნული საკითხის ღიად დატოვება ხელისუფლების რეიტინგზე?***

ამ კითხვას ბიძინა ივანიშვილმა ასე უპასუხა:

– გარანტიას გვაძლევენ, რომ ყველაზე გვიან, შეიძლება, წლის ბოლოს გადაწყდეს ვიზალიბერალიზაციის საკითხი. ვერავითარ სუბიექტურს ვერ ვხედავ, გარდა იმისა, რომ ევროპაში არის ის პრობლემები, რასაც ასახელებენ. ყველა ევროპელი პოლიტიკოსი გამოკვეთილად ამბობს, რომ საქართველომ თავისი ვალდებულებები პირნათლად შეასრულა. იმედი ვიქონიოთ, რომ სექტემბრამდე გადაწყდება ეს საკითხი, თუ არადა გარანტიას გვაძლევენ, რომ ყველაზე გვიან, შეიძლება, წლის ბოლოს გადაწყდეს. საქართველო ამას იმსახურებს.

ყოფილ პრემიერს კითხვები საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც დაუსვეს.

– რამდენად წარმოუდგენია ყოფილ პრემიერს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობის შექმნა?

აღნიშნულ საკითხს ივანიშვილი სკეპტიკურად უყურებს. ის ფიქრობს, რომ თუ ისევ შედგა კოალიციური მთავრობა, ქვეყნის წინაშე ბევრი პრობლემა გაჩნდება.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– კოალიციური მთავრობა პრობლემა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. დემოკრატიისთვის კარგია და ამას ევროპელები და ამერიკელები მიესალმებიან. ჩვენ გვქონდა კოალიციური მთავრობა და ჩემი პიროვნება აბალანსებდა სიტუაციას, მაგრამ ახალ პირობებში და ახალ არჩევნებზე თუ 80%-ზე ნაკლებს მიიღებს „ქართული ოცნება“, ეკონომიკური რეფორმების გატარება გაძნელდება.

თუ ისევ შედგა კოალიციური მთავრობა, ბევრ ახალ პრობლემას მივიღებთ. ასეთი მთავრობები ძირითადად რესურსების განაწილებაში არიან სათავისოდ და სერიოზული რეფორმები რჩება უყურადღებოდ. თუმცა, მე კოალიციური მთავრობის წინააღმდეგი არ ვარ. მაგრამ, ასეთი ეკონომიკისა და მცირე დაფინანსების პირობებში, როგორშიც ჩვენ ვართ, ძალიან რთული იქნება და შეუშლის ხელს საქართველოს სწორი მიმართულებით განვითარებას.

დემოკრატიას არაფერი ისეთი აღარ ემუქრება. ნაციონალები 5 კაცით საოცრებას ვეღარ მოახდენენ, მაგრამ კოალიციური მთავრობისთვის ასეთი ეკონომიკური პირობები იქნება ძალიან რთული. პრემიერს და მთავრობას სჭირდება ძლიერი გუნდი.

***– სამომავლოდ დააფინანსებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართულ ოცნებას“ და დაუჭერს თუ არა პოლიტიკურად მხარს?***

– თეორიულად თუ წარმოვიდგენთ, რომ „ქართული ოცნება“ კურსს შეიცვლის, მხარს დავუჭერ მას, ვინც ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს, – ასე უპასუხა ივანიშვილმა ამ კითხვას.

მან განმარტა, რა დოზით არის ჩართული საარჩევნო კამპანიაში და აღნიშნა, რომ პარტიის შტაბში არ დადის. თუმცა, შეიძლება თვეში ერთ შეკრებას დაესწროს.

– მე არ ვარ პროცესებში ჩართული. „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროცესებში ჩართვა, შეიძლება გადაჭარბებული იყოს. მე შტაბში არ დავდივარ. შეიძლება თვეში ერთხელ შეკრებას დავესწრო, თუ ვინმეს რაიმე კითხვა გაუჩნდება. პროცესები მიდის ჩემ გარეშე.

რაც შეეხება ჩემი, როგორც მოქალაქის, აქტიურობას, ჩემი სურვილია, რომ „ოცნებას“ მხარდაჭერა გამოვუცხადო, ვინაიდან ეს არის ერთადერთი პარტია, რომელიც ევროპული მიმართულებით გააგრძელებს სიარულს. მხოლოდ ამ მიზეზით ვუჭერ მხარს. თუ წარმოვიდგენთ თეორიულად, რომ „ოცნება“ შეიცვლის მიმართულებას და ღირებულებებში აღრევა მოხდება, მე მას დავუჭერ მხარს, ვინც ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს.



გუნდში არის უამრავი წარმატებული პიროვნება, ვინც იზიარებს ამ კურსს. ამ მიმართულებით „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს და მე მოვუწოდებ მოსახლეობას, არ დაემორჩილონ იმ აგიტაციას, რასაც ნაციონალური მოძრაობა აკეთებს, – განაცხადა ივანიშვილმა.

ჟურნალისტებმა კითხვები ეკონომიკაზეც დასვეს. ივანიშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ექსპერტებს, საზოგადოება 2030-ის ეკონომიკურ ფორუმზე მივიდნენ და დაასაბუთონ, მეტი რისი გაკეთება შეიძლებოდა 3-4 წელიწადში.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– ეკონომიკური სიდუხჭირით სპეკულირება არის გარკვეული ხიფათი იმისთვის, რომ მოსახლეობას გაუჭირდეს არჩევანის გაკეთება. არავინ ამბობს, რომ მთავრობამ გააკეთა მაქსიმალური. ამბობენ, გადით რეგიონებში, რამდენი გაჭირვებულიაო. გაჭირვებული იქნება და ამის აღმოფხვრა 3-4 წელიწადში შეუძლებელია. ეს უნდა მოხდეს 10-15 წელიწადში. მოსახლეობამ უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი. მე ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებას“ კვირიკაშვილის ლიდერობით ალტერნატივა არ გააჩნია. დიდი სურვილი მაქვს, მოსახლეობამ ამის ანალიზი გააკეთოს.

ბიძინა ივანიშვილს ჟურნალისტებმა ასევე ჰკითხეს, თუ ვინ შეიძლება იყოს ახალი პარლამენტის თავმჯდომარე.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, პარლამენტის მომავალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე საუბარი ნაადრევია. „ქართული ოცნების“ ოფისში ჯერ მაჟორიტარობის საკითხის განხილვა მიმდინარეობს.

– შემდგომ სია უნდა განმტკიცდეს. შემდეგ არჩევნებია. ალბათ უფრო გვიანდელ პროცესში გაირკვევა, ვინ იქნება თავმჯდომარე. დღეს, მგონი, ცოტა ნაადრევია ამ თემაზე საუბარი, – განაცხადა ბ-ნმა ივანიშვილმა.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებაც ისაუბრა.

– ნაციონალური მოძრაობის სულელური ქმედებები რომ არა, ის, რაც მოხდა, არ მოხდებოდა. ახლა მზადდება ფილმი, რას სთხოვენ სააკაშვილს, როგორ ითხოვენ ამერიკელები, რომ გაჩერდეს. მაილსი იხსენებს, 2004 წლიდან ამას ცდილობდა და ძლივს ვაჩერებდითო. მაგრამ რუსული აგრესიის როლი ამით არ მცირდება. რას გადაწყვეტს პუტინი და როგორ მოიქცევა, ამაზე საუბარი ჩემთვის რთულია, მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია და რა უნდა გავაკეთოთ, ამაზე უნდა ვისაუბროთ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ჩვენ შეგვიძლია ქვეყანა გავაერთიანოთ და ეკონომიკა განვავითაროთ. მოლაპარაკების ალტერნატივა არ არსებობს.

– ჩვენ ავირჩიეთ სწორი სტრატეგია. დემოკრატიული ინსტიტუტები უნდა განვავითაროთ. გაძლიერებულ და გამთლიანებულ სახელმწიფოში ჩვენს ძმებსაც გაუჩნდებათ სურვილი, ჩვენთან იყვნენ. ახლა რუსეთი აგრძელებს პროვოკაციებს, ეს დაგვიტოვა წინა ხელისუფლებამ. მიანიშნებენ, უნიათო ხელისუფლებააო, ამ დროს უნიათოები თვითონ არიან, ნახეთ, რა დღეში დატოვეს სახელმწიფო, – განაცხადა ბ-ნმა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერი პოლიტიკაში მოსვლას მომავალშიც გამორიცხავს. ის რჩება ბიზნესში.

საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „ბლუმბერგმა“ ასეთი რამ ჰკითხა:

***– რატომ იღებთ დარტყმას საკუთარ თავზე?***

– ამ ქვეყნის შვილი ვარ და იმიტომ, – უპასუხა ბიძინა ივანიშვილმა, – არ იფიქროთ, რომ რაიმე პრივილეგია გამაჩნია. მინდა ჩემი ქვეყანა იყოს სტაბილური და დემოკრატიული. მაქვს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რომ გამოვიყენო ყველა შესაძლებლობა, რომ ეს ყველაფერი მოხერხდეს. მე ოდესღაც ვთქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკაში დავბრუნდებოდი, თუმცა, ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ ეს დღე აღარ დადგება. მომავალში საერთოდ სიტყვა „ალბათსაც“ გამოვრიცხავ, რადგან არარეალურია, რომ რაიმე მოხდეს ჩვენს ქვეყანაში და ჩემი დაბრუნება გახდეს საჭირო.

პრესკონფერენციაზე შეკითხვა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებითაც დაისვა. თუმცა, ვინაიდან ინფორმაცია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ახალი გავრცელებული იყო, ივანიშვილმა ინფორმაციის დაზუსტება მოითხოვა.

– აღიარა უკანონო პოლიტპატიმრად, ასე წერია? თუ თქვენი ინტერპრეტაციაა? – მიმართა ბიძინა ივანიშვილმა კითხვის ავტორს.

– ერთი რამ ნუ დაგვავიწყდება, სტრასბურგის სასამართლოს მიმართ უდიდესი პატივისცემით ვარ განწყობილი, მეც და ხელისუფლებაც ყურადღებით მოეკიდება ყველა მინიშნებას, მაგრამ საქართველოში ხომ კარგად ვიცით, რაც ხდებოდა? ყველაზე კარგად ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, ვინ იყო მერაბიშვილი და რა იყო.

იქიდან როგორც არ უნდა მიგვითითონ, რომ ის პოლიტპატიმარია, ძალიან უცნაური იქნება და ცუდ დღეში ჩაიგდებენ თავს, თუ იქ ნაციონალებმა მოახერხეს კიდევ რაღაც სიცრუის ტირაჟირება და შეცდომაში შეიყვანეს, ამას შესატყვისი პასუხი გაეცემა, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## უსუფაშვილი ივანიშვილის განცხადებაზე: „რესპუბლიკელებიც ვთვლით, რომ „რესპუბლიკური პარტია უალტერნატივოა“



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი „ქართული ოცნების“ უალტერნატივობასთან დაკავშირებით ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ ყველა პარტია თვლის, რომ უალტერნატივოა, მათ შორის, რესპუბლიკელებიც.

– რესპუბლიკელებიც ვთვლით, რომ რესპუბლიკური პარტია უალტერნატივოა, მაგრამ ჩვენ პოლიტიკურ სივრცეში სხვა უალტერნატივო პარტიები გვჭირდება. ჩვენ მათი ნიშის დაკავებას არ ვაპირებთ, ისევე, როგორც ჩვენსას ვერავინ დაიკავებს. აი ასე, ჩვენ ჩვენს სფეროში ქვეყნის სასიკეთოდ უალტერნატივოებმა საერთო ენა უნდა მოვძებნოთ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

**პირველი რადიო**

## ანი მიროტაძე ვანო მერაბიშვილზე: „ადამიანი, რომელიც გვამებს ითხოვს, უდანაშაულო ვერ იქნება“

ეროვნული ფორუმის ერთ-ერთ ლიდერ ანი მიროტაძის განცხადებით, ადამიანი, რომელიც გვამებს ითხოვს და გვამებში პრემიებს არიგებს, უდანაშაულო ვერ იქნება.

ამის შესახებ მიროტაძემ სტრასბურგში 14 ივნისს გამართულ სხდომასთან დაკავშირებით განაცხადა, სადაც საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის ბრალეულობის საკითხი განიხილეს.

**ანი მიროტაძე:**

„ადამიანი, რომელიც გვამებს ითხოვს და გვამებში პრემიებს არიგებს, ასევე, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ ზეწოლის ზომებს იყენებს, მათ შორის ოჯახის წევრებზე განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო, მე მიმაჩნია, რომ უდანაშაულო ვერ იქნება“.

**ნიუსპრესი**



**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვანო მერაბიშვილი ციხიდან არ გათავისუფლდება

**სტრასბურგის სასამართლომ მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით გაავრცელა პრესრელიზი, რომლის სათაურშიც სიტყვასიტყვით წერია, რომ წინასწარი პატიმრობა იყო სრულიად კანონიერი და დასაბუთებული.**



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის საქმეზე, რომელიც გაგრძელდა 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე.

დოკუმენტის სათაური შემდეგია: „საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა კანონიერი იყო და ეფუძნებოდა გონივრულ საფუძველს, თუმცა, ამავე დროს, გამოყენებულ იქნა მასზე ზეწოლის მოხდენის ხერხად“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ:

არ დარღვეულა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პარაგრაფი 1 (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება), რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხს;

არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი (გონივრულ ვადებში სასამართლო გარჩევის ჩატარება ან სასამართლომდე გათავისუფლება), რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძვლიანობას;

დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი, რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის გადახედვის შესახებ 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მე-5 მუხლის პარაგრაფ 1-თან ერთობლიობაში, იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა ასევე იქნა გამოყენებული პროკურატურის მიერ, როგორც შესაძლებლობა, მოეპოვებინა ბერკეტები ამ საქმესთან დაუკავშირებელი გამოძიებისთვის, კერძოდ, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე, ასევე საქართველოს ექსპრეზიდენტის ფინანსური საქმიანობის გამოსაძიებლად, – ნათქვამია სტრასბურგის სასამართლოს პრესრელიზში.

საპირისპიროს აცხადებს ვანო მერაბიშვილის დაცვის მხარე. მათი არგუმენტის თანახმად, 2013 წლის 14 დეკემბერს მომხდარი ინციდენტისას იგი წაიყვანეს იძულებით მთავარ პროკურორთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსთან, რომელთაც მას მოსთხოვეს აღიარებითი ჩვენება.

ასევე სასამართლოს დასკვნაში პატიმრის განცხადება, რომ იგი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორების მიზნით დააკავეს, მოხსენიებულია, როგორც ვანო მერაბიშვილის არგუმენტი.

დარღვევებისთვის სასამართლომ ვანო მერაბიშვილს მიანიჭა 4.000 ევრო მორალური კომპენსაცია, თუმცა თავად ითხოვდა 15.000 ევროს.

მის ადვოკატებს ჰონორარად კომპენსაცია მიენიჭათ 4-4.000 ევრო, თუმცა ბრიტანელი ადვოკატი ჰონორარის სახით – 5.600 ევროს, ოთარ კახიძე კი 35.600 ევროს ითხოვდა.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ვერ გამოიწვევს ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებას, რომელიც ამჟამად მსჯავრდებულია ანუ იხდის არა წინასწარ პატიმრობას, რომელიც 2014 წელს დასრულდა, არამედ უკვე სასჯელს იხდის.

* * *

სტრასბურგის სასამართლოს განაჩენის დეტალურად განხილვამდე შეგახსენებთ, რომ წინასწარი პატიმრობა უკანონოდ გამოცხადდა თენგიზ ასანიძის საქმეზე, როცა სასამართლომ თქვა, რომ სახეზე იყო უკანონო პატიმრობა და ასანიძე უნდა გაეთავისუფლებინათ, ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში კი გადაწყვეტილებაში სიტყვები „უკანონო პატიმრობა“ ნახსენები არ არის.

შედარებისთვის, თენგიზ ასანიძემ, როგორც უკანონო პატიმარმა, თავის დროზე, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მორალური კომპენსაციის სახით 150.000 ევრო მიიღო.

* * *

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის საქმეს, გადაწყვეტილება გამოტანილია მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის საქმეზე, რომელიც გაგრძელდა 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენში არსად არ არის შეფასება პოლიტიკური პატიმარი!

გადაწყვეტილება და ამ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მოყვანილი დასკვნები ეხება მხოლოდ მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნას და არა სასჯელს.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ:

1. პატიმრობა იყო კანონიერი ანუ საქართველოს კანონის შესაბამისი და ასევე ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისი. შესაბამისად, ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა სასამართლოს უკანონოდ არ შეუფასებია.

აქედან გამომდინარე, თუკი მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობას ჰქონდა რაიმე პრობლემა 2014 წლის თებერვლამდე, ეს პატიმრობა ახლა არის წარსული, რომელიც აწმყოში მის მდგომარეობაზე ვერავითარ სამართლებრივ გავლენას ვერ ახდენს.

2. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქართული სასამართლოების ორივე გადაწყვეტილება იყო საკმარისად დასაბუთებული, მით უმეტეს, რომ არსებობდა მერაბიშვილის მიერ რამდენიმე და მათ შორის ლევან მაისურაძის სახელზე გაცემული, გაყალბებული პასპორტის ქონის ფაქტი.

3. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც მერაბიშვილმა მოითხოვა 2013 წლის 25 სექტემბერს მისი წინასწარი პატიმრობის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა, სასამართლომ მისი ეს შუამდგომლობა სათანადოდ არ დაასაბუთა.

4. კონვენციის მე-18 მუხლში მერაბიშვილის მთავარი არგუმენტი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მისი გაყვანის ინციდენტი. იგი ამბობდა, რომ დაწესებულებიდან მთავარ პროკურორთან იძულებით წაყვანის შემდეგ მოსთხოვეს აღიარებითი ჩვენება.

ეს დარღვევა, სამართლებრივი შედეგით, მერაბიშვილის გათავისუფლებას არ იწვევს.

რაც შეეხება დაკისრებულ თანხას, მას ვანო მერაბიშვილსა და მის ადვოკატებს ჯერჯერობით ვერ გადაუხდიან, რადგან სასამართლოს არსებული განაჩენი საბოლოო არ არის, ის შესაძლოა 3 თვის ვადაში გასაჩივრდეს.

# გიორგი კვირიკაშვილი ანგელა მერკელს შეხვდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრი 15-16 ივნისს ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვევა. გიორგი კვირიკაშვილი შეხვედრას გამართავს გერმანიის ფედერალურ კანცლერ ანგელა მერკელთან. მხარეები საქართველო-გერმანიის ორმხრივ ურთიერთობებს, ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის საკითხებსა და რეგიონში არსებულ ვითარებას განიხილავენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და გერმანიის ფედერალური კანცლერი ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.

ვიზიტის ფარგლებში, გიორგი კვირიკაშვილი შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის პრეზიდენტ ნორბერტ ლამერტს, საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს, განათლებისა და კვლევის ფედერალურ მინისტრ იოჰანა ვანკას, ბუნდესტაგის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე ნორბერტ რიოტგენს.

„ფრიდრიხ ებერტის“ ფონდში საჯარო გამოსვლის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისაუბრებს საგარეო პოლიტიკაზე – ქვეყნისთვის ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, რეგიონში არსებულ ვითარებაზე.

გიორგი კვირიკაშვილი ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში საჯარო ლექციას წაიკითხავს თემაზე „საქართველოს ევროპული გზა“. ვიზიტის ფარგლებში გაიმართება საქართველო-გერმანიის ბიზნესფორუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული და გერმანული ბიზნესწრეების წარმომადგენლები.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას დაესწრება.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი, ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე.

**ნიუპოსტი**

# ნინო ბურჯანაძე: „მოვითხოვ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხს, რომელთა გამოც სტრასბურგის სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოიტანა“

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ ვანო მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.

პარტიის ცნობით, ბრიფინგს ესწრებოდა 2011 წლის 26 მაისის მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა ნაწილი, რომლებიც სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაციის დროს იქნენ ნაწამები და შემდეგ დაპატიმრებულები.

– უპირველეს ყოვლისა, მინდა აღშფოთება გამოვხატო იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა ამ ადამიანის საქმე, პრაქტიკულად, რომელიც ახლა ჩემს ზურგს უკანაა, სტრასბურგის სასამართლომ განხილვისათვის გადადო, ვერ მოიცალა ამდენი ხნის განმავლობაში, ვერ მოიცალა განეხილა ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა პოლიტპატიმრის პეტრიაშვილის საქმე. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ვერ მოიცალა, რომ განეხილა იმ ადამიანების საქმე, რომლებიც სიკვდილამდე სცემეს ჯერ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე, ხოლო შემდეგ უკანონოდ დააპატიმრეს და პოლიციის სამმართველოს შენობაში აწამეს, შემდეგ უკვე საპყრობილეში აწამეს, ვერ მოიცალა განეხილა იმ ადამიანებს საქმეები, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოდან გაქცეულები იყვნენ აბსოლუტურად უსუსური ბრალდებებით და საკუთარი ახლობლების გასვენებასაც ვერ დაესწრნენ, მაგრამ მოახერხა, მოიცალა იმისათვის, რომ განეხილა ვანო მერაბიშვილის საქმე და სასწრაფო გადაწყვეტილებაც გამოიტანა, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის განცხადებით, მას არ გაჰკვირვებია სტრასბურგის სასამართლოს ამგვარი ქმედება, მით უფრო იმის შემდეგ, როდესაც 26 მაისს დილით, 2011 წელს, სისხლგადარეცხილ რუსთაველზე იდგა მთელი დიპლომატიური კორპუსი, მათ შორის ევროკავშირის სახელმწიფოების ელჩებიც.

– მათ წარბიც კი არ შესტოკებიათ, იმის მიუხედავად, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანების გადარეცხილ სისხლიან პროსპექტზე იდგნენ. ძალიან სამწუხაროა ასეთი ორმაგი სტანდარტები, თუმცა ეს მხოლოდ ევროკავშირის ბრალი არ არის. დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც არის არა მარტო უსუსური, არამედ როგორც ჩანს უბრალოდ მავნებელი ან გონება შეზღუდული. მე დიდხანს ვარჩევდი, თუ რა სიტყვებით შემეფასებინა ის, რაც დღეს ჩვენს ხელისუფლებას სჭირს, მაგრამ, როდესაც ვანო მერაბიშვილს ციხეში სვამ იმ ბრალდებებით, რომლებითაც ის ციხეში ჩასვეს, შემდეგ ვერ ახერხებ ელემენტარულად პროცედურების დაცვას, შემდეგ სააკაშვილის ბებიის 14-წლიან ჰონდას აყადაღებ, ნამდვილად ან მავნებელი ხარ და გარიგებული ნაციონალურ მოძრაობასთან, ან მართლა გონებაშეზღუდული, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, დემოკრატიული მოძრაობა კატეგორიულად მოითხოვს, რომ დადგეს პოლიტიკური და არა მარტო პოლიტიკური, არამედ, სამსახურებრივი გულგრილობისათვის იმ თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა უნიათობით, მავნებლობითა და გონება შეზღუდულობით დადგა ის გადაწყვეტილება სტრასბურგში, რომელიც დღეს ჩვენ მოვისმინეთ, აღარაფერს ვამბობ იმ სამარცხვინო განცხადებაზე, რომელიც ქალბატონმა წულუკიანმა გააკეთა, რომელიც გახარებულია იმით, რომ თურმე წინასწარი პატიმრობა სამართლიანია და დანარჩენს არ აქვს მნიშვნელობა.

– აი, ასეთი ხელისუფლება გვყავს დღეს ჩვენ, ასეთი ხელისუფლება გვყავს და ასეთი სამართალია, როგორც ჩანს, დღევანდელ საქართველოში და დღევანდელ საქართველოსთან მიმართებით უკვე თანამედროვე მსოფლიოს მხრიდანაც, როდესაც 26 მაისი გამოძიებული არ არის ბოლომდე, დალუპული ადამიანების, დასახიჩრებული ადამიანების ბედი გამოძიებული არ არის, არ არის დაყენებული პასუხისმგებლობის საკითხი იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ათობით და ასობით ოჯახი გააუბედურეს და ადამიანების სიცოცხლე და ცხოვრება დაამახინჯეს, ხოლო ამ დროს ვანო მერაბიშვილს პოლიტპატიმრად გვიცხადებენ, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# სოზარ სუბარი: „არის სრული თანხმობა იმაზე, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას აუცილებლად მიიღებს“

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესი ევროპაში არსებულმა მიგრანტთა კრიზისმა შეაყოვნა.

როგორც მინისტრი დასძენს, საქართველო აუცილებლად მიიღებს ვიზალიბერალიზაციას.

– საქართველომ შეასრულა ყველა ის ვალდებულება, რომლებიც ჰქონდა აღებული ევროკავშირის წინაშე. აქ მოხდა სხვა ფაქტი, რომელიც ეხება არა საქართველოს, არამედ იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელიც ლტოლვილებთან დაკავშირებით ზოგადად შეიქმნა. სრულიად ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ არის სრული თანხმობა იმაზე, რომ საქართველო ვიზალიბერალიაციას აუცილებლად მიიღებს, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

**ნიუსპრესი**



# ზაალ კასრელიშვილი: „კარგია, ვიზალიბერალიზაცია არჩევნებამდე რომ არ მოგვცეს“

## „როგორც კი ქვეყანა საგარეო კურსს შეიცვლის, ხელისუფლება შეიცვლება“

შორენა მარსაგიშვილი

**შეიცვალა თუ არა ქვეყნის საგარეო კურსი, რაში შეუწყო დასავლეთმა ხელი რუსეთს, რატომ არ წავიდნენ ქართველი სამხედროები პოლონეთში გამართულ სწავლებაზე, რა გველოდება შემოდგომაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

*– რამდენიმე დღის წინ რუსმა სამხედროებმა ქარელის რაიონის სოფელ ავლევში გადმოწიეს საზღვარი. სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ეს არ არის საზღვრის გადმოწევა, ეს ხაზის გავლებააო. თქვენ რას იტყვით ამ განცხადებაზე?*

– უკვე დიდი ხანია, რაც პაატა ზაქარეიშვილს აღარ ვუსმენთ და გვგონია, რომ ხელისუფლებაში ძალიან ბევრი შემთხვევითი ადამიანია.

*– საზღვრის გადმოწევაზე რას იტყვით, ხელისუფლებას დიდი რეაქცია არ ჰქონია და ასეთი უბრალო რამეა ეს ამბავი?*

– უბრალო როგორ არის? ეს გახლავთ ქართველების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაცია. ჩვენ იმიტომ გვსჯიან, რომ ვიზალიბერალიზაციის და ნატოში გაწევრიანების კუთხით ძალიან გავაქტიურდით.

*– ვიზალიბერალიზაციის კუთხით გააქტიურების გამო ვისჯებითო და უვიზო მიმოსვლას არ გვაძლევენ. არც ნატოს სწავლებაზე წავიდა ქართული ასეული. ამაზე რას იტყვით?*

– ქართული ასეული მართალია პოლონეთში არ გაემგზავრა, მაგრამ მანამდე მაისში საქართველოში ჩატარდა სამხედრო წვრთნები. ქართული სამხედრო ტექნიკის პარკი განახლდა უცხოური ტანკებით, რამაც ძალიან გაამწარა რუსეთი. რუსეთს ასევე აღიზიანებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სამხედროები აისაფის მისიაში მონაწილეობენ. არც ის მოსწონთ, საქართველო ნატოს მინისტერიალებში რომ მონაწილეობს.

რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, მისი მოცემა მხოლოდ დროებით გადაიდო და შეიძლება ეს ჩვენი ქვეყნისთვის კარგიც არის. ადრე თუ გვიან, ამას მივიღებთ, ეს რუსეთმაც იცის და ამიტომაც იყენებს ჩვენ წინააღმდეგ ძალით დაყოლიების მეთოდს. საზღვრების გადმოწევა კიდევ გაგრძელდება.

*– თქვით, ვიზალიბერალიზაცია ახლა რომ არ მოგვცეს, შეიძლება კარგიც კი არისო და რა სიკეთეს ხედავთ ამაში?*

– კარგი იმიტომ არის, რომ რომელიმე პოლიტიკურ ძალას გაყალბების და ძალადობის ხარჯზე არ მოუნდეს არჩევნების შედეგების შეცვლა სათავისოდ.

*– თქვენ ფიქრობთ, რომ უკეთესი იქნება, თუ ვიზალიბერალიზაციას არჩევნებამდე არ მივიღებთ?*

– რა თქმა უნდა, ასე ჯობია. სხვა თუ არაფერი, ყველა პოლიტიკური ძალა გამოაჩენს თავის სახეს. ეს კი გასცემს პასუხს კითხვაზე – ვართ თუ არა მზად დასავლური ტიპის თავისუფლებისთვის. ეს პოზიციასაც ეხება და ოპოზიციასაც.

საქართველოში დღეს ოპოზიცია მტირალა ბავშვის პოზაშია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ან ხმებს აიღებს, ან ბოლომდე მართალია. ასე რომ, ეს არჩევნები პარტიებისთვის და ამომრჩევლებისთვისაც სერიოზული ტესტი იქნება.

*– ვიზალიბერალიზაციის შეფერხება პრორუსული ძალების გაძლიერებას ხომ არ გამოიწვევს? იმ ფონზე, როცა ევროპა კარს ჯერ არ გვიღებს, რუსეთის დუმაში ითხოვენ, საქართველოსთან სავიზო მიმოსვლა გავაუქმოთო.*

– რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში საღად რომ აზროვნებდნენ, კრემლს რომ ჩამოყალიბებული გრძელვადიანი პოლიტიკა ჰქონდეს კავკასიაში, მათ აქამდეც უნდა გაეუქმებინათ ჩვენთან სავიზო რეჟიმი. მათ აქამდე უნდა გაეაქტიურებინათ თავისი აგენტურა ცხინვალსა და აფხაზეთში. და როგორც აქამდე ისინი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა, ახლა უნდა აძახებინოს, რომ საქართველოსთან ერთად უნდათ.

რუსეთი წინ არ იყურება, არც ამ ნაბიჯებს დგამს და ამიტომ მიდის მისი საქმე უკან-უკან. არა მარტო დასავლეთთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც. თუ კრემლში ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს და კავკასიის გარეშე თურქეთთან დაპირისპირებაში პოზიციურ უპირატესობას მიაღწევს, ძალიან შემცდარა. კრემლში თუ თავში ჭკუა აქვთ და რუსეთის მომავალზე ფიქრობენ, მათ ქართველებთან ურთიერთობა უნდა დაალაგონ. ამის შემდეგ ურთიერთობა ავტომატურად დაულაგდება კავკასიასთან.

დღემდე ვერც ჩვენ და ვერც მსოფლიომ, კრემლის კავკასიური პოლიტიკის კონცეფცია ვერ დავინახეთ. იქ ჰყავთ რამდენიმე ფსევდოანალიტიკოსი და ექსპერტი, ძირითადად ეთნიკური სომხები, რომლებიც კავკასიელების ისტორიის თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენენ.

რაც შეეხება პრორუსული ძალების გაძლიერებას საქართველოში, რაღაცა დოზით მოიმატებს პრორუსული ამომრჩეველი. ისინი წითელი დროშის ქვეშ არავითარ შემთხვევაში არ გამოვლენ. ისინი შენიღბულ პრორუსულ პარტიებზე გადანაწილდებიან. პრორუსულ ძალებს საქართველოში გამოკვეთილი ავტორიტეტები არ ჰყავთ.

*– გამოკვეთილი ავტორიტეტები საქართველოში არც პროდასავლურ ძალებს ჰყავთ.*

– გეთანხმებით, რომ მორალური ავტორიტეტები არც მათ ჰყავთ. ამის მიუხედავად, მორალური თვალსაზრისით, პროდასავლური პოლიტიკა საქართველოში ყოველთვის უპირატესობაში იქნება. ამის არგუმენტი გახლავთ ის, რომ არც ამერიკას და არც ევროპას ჩვენთვის ტერიტორიები არ წაურთმევიათ.

*– ამაზე ვიღაცამ შეიძლება გიპასუხოთ, რომ დასავლეთი „ქართველობას გვართმევს და გვრყვნის“.*

– ეს კრემლის იდეოლოგიური მანქანის პროპაგანდაა. გვეუბნებიან, მართალია ჩვენ ტერიტორიები წაგართვით, მაგრამ მომავალში დასავლეთი ქართველობას წაგართმევთო. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო იმ ხალხს, ვისაც ამ პროპაგანდის სჯერა, ხალხო, ქართველობა ვერ წაგვართვა აღა მაჰმად ხანმა, ქართველობა ვერ წაგვართვა მურვან ყრუმ, ქართველობა ვერ წაგვართვა შაჰ აბასმა, ქართველობა ვერ წაგვართვეს მონღოლებმა და სხვა მამაძაღლებმა, თავად რუსებმაც ვერ წაგვართვეს ქართველობა და რაღა დასავლეთი წაგვართმევს?!




## „დასავლეთმა 90-იან წლებში რუსეთი დაშლას გადაარჩინა“

საქართველოში ყველამ იცის, რომ 1921 წელს დასავლეთს არ დავუპყრივართ და არც 1989 წლის 9 აპრილი მოუწყვიათ. არც აფხაზეთი და სამაჩაბლო წაურთმევიათ ჩვენთვის. 90-იან წლებში შიმშილით რომ არ დავიხოცეთ, მაგას დასავლეთს უნდა ვუმადლოდეთ.

*– თქვენ ორჯერ გაუსვით ხაზი, დასავლეთს აფხაზეთი და სამაჩაბლო არ წაურთმევიაო. თუმცა მათ არც ხელი შეუშლიათ რუსეთისთვის. 90-იან წლებში არავის ამოუღია ხმა რუსეთის აგრესიაზე.*

– რუსეთს იმიტომ არ შეუშალეს ხელი, რომ მაშინ შევარდნაძის პოლიტიკა არც მწვადს წვავდა და არც შამფურს. ედუარდ შევარდნაძის მთავრობამ ამ კონფლიქტების ინტერნაციონალიზაცია არ მოახდინა. მას სჯეროდა, რომ ამ პრობლემას თავად მოაგვარებდა და მეორე, მაშინ დასავლეთის პოლიტიკის სიმძიმის ცენტრი ელცინის მოთვინიერებაზე იყო მიმართული.

*– მათ მიერ მოთვინიერებულმა ელცინმა ჩეჩნებს რომ გენოციდი მოუწყო 1995-96 წლებში, ამაზე რატომ არ ამოიღო ხმა. არადა იმ პერიოდში 100.000-მდე მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 10.000-მდე ბავშვი დაიღუპა. დღეს რუსეთი ასე რომ თავხედობს, ეს 90-იანებში დასავლეთის დუმილის შედეგი ხომ არ არის?*

– დღეს დასავლეთში ღიად ნანობენ, რომ 90-იან წლებში უმოქმედოდ ისხდნენ და განგაში არ ატეხეს საქართველოს და ჩეჩნეთის გამო. მაშინ ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთს მოათვინიერებდნენ. ამის გამო მათ კრემლს დიდი დახმარება გაუწიეს. მეტსაც გეტყვით, დასავლეთი რომ არ ყოფილიყო, 90-იან წლებში რუსეთი დაშლილი იყო.

*– გამოდის, რომ დასავლეთმა დაგვღუპა.*

– დაღუპვით არ დავღუპულვართ, ამაზე უარესი წლები გამოგვივლია, მაგრამ რუსეთი დაშლისგან ნამდვილად დასავლეთმა იხსნეს, მათი დაშლა ანგლო-ამერიკელებმა არ გააფორმეს. რუსული უმადურობა საქვეყნოდ არის ცნობილი და მათ დასავლური ფული ბომბების და ტანკების გასაკეთებლად გამოიყენეს და ახლა კუნთებს ათამაშებენ. თუმცა, დიდხანს ვერ გაძლებენ. ცივ ომს შეეწირა საბჭოთა კავშირი. ამათაც ეს ელოდებათ.

*– მოდით, ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ, ზემოთ პოლონეთში ქართული ასეულის წაუსვლელობაზე ვსაუბრობდით. რუსული მედიის მტკიცებით, მოსკოვის თხოვნით, ერთ-ერთმა დასავლურმა ქვეყანამ სთხოვა თბილისს, ასეული არ გაეგზავნა ნატოს წვრთნებზე. ამაზე რას იტყვით?*

– დასავლეთი ამ თხოვნას რუსეთს არ შეუსრულებდა. ეს ინფორმაციები რუსეთის შიდა მოხმარებისთვის არის გავრცელებული. მოსახლეობას არწმუნებენ, მართალია სანქციებს გვიწესებენ, მაგრამ ჩვენს მოთხოვნებს მაინც ითვალისწინებენო.

დასავლეთმა საქართველოს მართლა ურჩია, რომ ამ წვრთნებში მონაწილეობა არ მიეღო, რადგან ამის გამო შესაძლოა რუსეთის მხრიდან დამატებითი პრობლემები შექმნილიყო.

*– თქვენ ჩვენი წაუსვლელობა გამართლებულად მიგაჩნიათ.*

– რა თქმა უნდა. საქართველომ ეს გადაწყვეტილება დასავლეთელ პარტნიორებთან შეთანხმებით მიიღო.

*– ასეთ დათმობებზე წასვლა მომავალში საგარეო კურსთან დაკავშირებითაც ხომ არ მოგვიწევს? ოპოზიციის ნაწილი უკვე ჩივის, ხელისუფლება პრორუსულ კურსს დაადგაო.*

– ეს ისეთი ამბავია, რომელიც არ დაიმალება. 2017-2020 წლებში საქართველოზე უნდა გაიაროს ყველა ენერგომატარებელმა. ასე რომ, როგორც კი ქვეყანა საგარეო კურსს შეიცვლის, ეგრევე შეიცვლება ხელისუფლება.

საქართველოს წინ ძალიან რთული პერიოდი ელოდება. არჩევნების შედეგებზე პირდაპირ არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი. ამომრჩევლის 60% არჩევნებზე წასვლას არ აპირებს. 40%-ის მიერ არჩეული პარლამენტი, არა მგონია, ლეგიტიმური იყოს.

ჩვენი აზრით, ყველა პოლიტიკური ძალა შეეცდება არჩევნების შედეგების გაპროტესტებას. პარლამენტს მიღმა ძალიან ბევრი დარჩება და ისინი შეეცდებიან, საპროტესტო აქციები მოაწყონ. დღევანდელი გადმოსახედიდან პარლამენტში შესვლის რეალური შანსები მხოლოდ ნაციონალებს და „ოცნებას“ აქვთ. ასე რომ, წინ ძალიან სერიოზული ამბები გველოდება. პოლიტიკური თვალსაზრისით, შემოდგომაზე სიცხე კი არა, პაპანაქება იქნება საქართველოში.

# უკრაინელი ექსპერტები: სააკაშვილი შემოდგომაზე საქართველოში ბრუნდება

## ინალ არძინბას ოდესის ოლქში სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე თვეა, უკრაინაში აქტიურად საუბრობენ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის მოახლოებულ დასასრულსა და მისი გუნდის წარუმატებლობაზე. ბოლო დროს უკრაინელ კომენტატორებს ხშირად მოჰყავთ სააკაშვილის ციტატა, რომლის თანახმად, საქართველოს პოლიტიკაში მთავარი ფიგურები ის და ბიძინა ივანიშვილი არიან. უკრაინელი ანალიტიკოსების ნაწილი ირწმუნება, რომ სააკაშვილი შემოდგომიდან საქართველოში გააგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას. ამის დასამტკიცებლად ისინი იმოწმებენ სააკაშვილის გამოსვლებს, რომლებიც საქართველოს ამომრჩეველზე იყო გათვლილი.**





სააკაშვილი მაისის ბოლოს კორუფციულ-კონტრაბანდულ სკანდალშიც გაეხვია, როცა მთავარმა პროკურატურამ გაჩხრიკა მისი თანაშემწისა და ოდესის კეთილდღეობის ფონდის ხელმძღვანელის, თეიმურაზ ნიშნიანიძის კაბინეტი. ნიშნიანიძის კაბინეტიდან მილიონი დოლარი ამოიღეს, ფონდი მხილებულია კონტრაბანდისტებთან კავშირსა და მსხვილი თანხების გათეთრებაში.

დღეს მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მილიონი დოლარი მოგონილი ციფრია, ჩხრეკისას კი სულ 5 ათასი დოლარი ამოიღეს. ოდესის ოლქის გუბერნატორი აღნიშნავს, რომ მისი მგზავრობები და ვიზიტები ამ ფონდიდან არ ფინანსდებოდა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

2016, 15 ივნისი, №140

# „The Christian Science Monitor“: „აფხაზეთი მსოფლიოს ჯერ კიდევ აუთვისებელი ტურისტული საგანძურია“



გავლენიანი ამერიკული გამოცემის „The Christian Science Monitor“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოს სეპარატისტული რეგიონის – აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობა, განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა ტურისტულ პოტენციალს, საკურორტო შესაძლებლობებს (ავტორი – ფრედ უეირი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

ვრცელი პუბლიკაცია იწყება რიწის ტბაზე მიღებული შთაბეჭდილებებით, რომელიც ამერიკელმა ჟურნალისტმა საკუთარი თვალით ნახა: „რიწის ტბა – ესაა ალპური მარგალიტი, რომელიც კავკასიის ტყითა და თოვლით დაფარული მაღალი მთებითაა გარშემორტყმული. აქ არის აგარაკი, რომელშიც ადრე იოსებ სტალინი ისვენებდა ხოლმე“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სუბტროპიკულ აფხაზეთს, „კავკასიის შავიზღვისპირა რივიერას“, ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: „აფხაზეთი საქართველოსაგან გამოყოფილი რეგიონი და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოა – რუსეთმა მისი სუვერენიტეტი 2008 წელს ოფიციალურად სცნო, საქართველოსთან მომხდარი ომის შემდეგ. აქ, ამ შავიზღვისპირა რესპუბლიკაში, ბევრია პლაჟები, ხელშეუხებელი მთიანი ბუნება, მსოფლიოში ყველაზე ღრმა კარსტული მღვიმეები, ცხელი მინერალური წყაროები, ბიზანტიის იმპერიის დროინდელი ეკლესია-მონასტრები... მოკლედ, აფხაზეთი მსოფლიოს ჯერ კიდევ აუთვისებელ ტურისტულ საგანძურს წარმოადგენს, მაგრამ ჯერ-ჯერობით აფხაზეთში მხოლოდ რუსები ისვენებენ. გასულ წელს ამ იდეალურ დასასვენებელ რეგიონს მილიონნახევარი რუსი ტურისტი ეწვია. აქ რუსულ ენაზე საუბრობენ, რუსული ვალუტა ბრუნავს, რუსეთის მოქალაქეები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ... მართალია, უმაღლესი დონის მდიდრული სასტუმროები ჯერ არ არის, მაგრამ რადგანაც მოსახლეობა მეგობრულადაა განწყობილი, რესტორნები ძალზე იაფია, ბუნება კი მიმზიდველი, ასეთ დროს სამვარსკვლავიანი სასტუმროც კი სასახლედ გეჩვენება. აფხაზეთში ჩასვლა ყველაზე ადვილად რუსეთიდან შეიძლება“, – წერს ავტორი, რომელიც საოკუპაციო რეჟიმის ტურიზმის მინისტრ ავთანდილ ღურწკაიას ესაუბრება: „ჩვენ ფოკუსირებული ვართ ეკონომიურ ტურიზმზე. ვიცით, რომ ჩვენთან მდიდარი (ევროპელები) არ ჩამოვლენ, რადგან მათ აფხაზეთის პოლიტიკურ-დიპლომატიური სტატუსი აშინებთ. ისინი საქართველოს მიერ დაწესებულ სანქციებს უფრთხიან, რომლის თანახმად, ყველა დაისჯება, ვინც კი უკანონოდ გადალახავს საქართველოს კუთვნილი ტერიტორიის საზღვრებს“. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2015 წელს ამერიკელებისათვის მხოლოდ 15 ვიზაა გაცემული.

ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში რუსული ინვესტიციების მოზიდვას დღეს მოქმედი კანონმდებლობა ხელს უშლის, მაგალითად, უძრავი ქონების უცხოელებზე მიყიდვის ამკრძალავი კანონი. დაგეგმილი იყო მასში ცვლილების შეტანა, მაგრამ პარლამენტმა განხილვა გადადო.

დღეს, როცა გეოპოლიტიკური კრიზისების გამო ეგვიპტისა და თურქეთის კურორტები დახურულია, რუსი ტურისტები დასასვენებლად ყველაზე მეტად შავი და აზოვის ზღვის ნაპირებზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე მიემგზავრებიან, ანუ საზღვარგარეთული ტურიზმი შიდა ტურიზმმა მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა. „რუსებისათვის მცხუნვარე ქვიშიან პლაჟზე დასვენება ყოველთვის პოპულარული იყო. ისინი ჩრდილოურ ქვეყანაში ცხოვრობენ, ცივ პროვინციებში, მათთვის სამხრეთული მზე და შვებულების სამხრეთში გატარება საოცნებოა“, – ამბობს ამერიკელ ჟურნალისტთან საუბარში სოჭის უნივერსიტეტის რექტორი გალინა რომანოვა.

პუბლიკაციაში, აფხაზეთთან ერთად, მიმოხილულია რუსეთის შავიზღვისპირეთის კურორტები და, რასაკვირველია, აქცენტი გადატანილია ყირიმზე, სოჭსა და მის შემოგარენზე.

ამერიკელმა ჟურნალისტმა ფრედ უეირმა ბოლო ხანებში გაზეთ „ქრისჩენს საიენს მონიტორში“ აფხაზეთის შესახებ რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა. იგი სოხუმში იმყოფებოდა და არაღიარებული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატსაც დაესწრო, რომელიც „კონიფას“ ეგიდით ჩატარდა.

**ნიუსპრესი**

# თინათინ ხიდაშელი ფრანგ კოლეგას შეხვდა

ვარშავის სამიტის მოლოდინები და საქართველოს საჰაერო თავდაცვის გაძლიერების საკითხები განიხილეს საფრანგეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრებმა პარიზში გამართულ შეხვედრაზე. ჟან-ივ ლე დრიანმა თინათინ ხიდაშელს თავდაცვის სამინისტროში უმასპინძლა.

მხარეებმა საქართველოსა და საფრანგეთს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვან ფაზაშია შესული და საფრანგეთი საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების განვითარებისა და ავიაციის დარგში აქტიურად ეხმარება.

– ვისაუბრეთ ვარშავის სამიტზე, იმ თავდაცვისუნარიანობის შესაძლებლობებზე, რომლის განვითარებაში და პროგრესის მიღწევაში საფრანგეთის სახელმწიფო ჩვენ გვერდით დგას და გვეხმარება. იმედია, 2017 წლიდან, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდება, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველოში საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტიც იგეგმება. ჟან-ივ ლე დრიანი საჩხერის სამთო მომზადების სკოლის 10 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. საჩხერის სამთო მომზადების სკოლა, სწორედ, ფრანგული მხარის დახმარებით ჩამოყალიბდა.



ოფიციალურ შეხვედრამდე თინათინ ხიდაშელი ფრანგმა კოლეგამ თავდაცვის მინისტრის რეზიდენციაში მიღებაზე მიიწვია.

**ნიუპოსტი**

# სასამართლო პროცესზე მაგდა პაპიძესა და მის დედამთილს შორის დაპირისპირება მოხდა




სასამართლო პროცესზე მაგდა პაპიძესა და მის დედამთილს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ამის გამო მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძე სასამართლო დარბაზიდან დროებით გაიყვანეს.

დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც დარეჯან მინდიკაურმა მისი შვილიშვილის დაზიანებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაზიანებები მას მაგდა პაპიძემ მიაყენა. პროკურორის კითხვაზე, ხომ არ შეუმჩნევია დარეჯან მინდიკაურს თორნიკე ქაფიაშვილისთვის რაიმე სახის დაზიანება, ომარ ქაფიაშვილის დედამ აღნიშნა, რომ ბავშვს ფეხზე, მუხლის ზევიდან ჰქონდა დაზიანება, რომელიც მაგდამ მიაყენა მაკრატლით.

ამის საპასუხოდ მაგდა პაპიძემ აღნიშნა, რომ მისი შვილის ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა და მას დასკვნის მიხედვით არავითარი დაზიანება არ აღმოაჩნდა.

– შენ კარგად იცი, რომ თორნიკეს ცრემლისთვის მაგდა შეურაცხადი ხდებოდა. თორნიკეს წინ ტყუილს ვერ მეტყვი. თორნიკეს ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა და არანაირი დაზიანება არ ჰქონდა, – მიმართა მაგდა პაპიძემ დედამთილს, რასაც მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

დარეჯან მინდიკაური მაგდა პაპიძეს მოუწოდებდა, რომ დაწყნარებულიყო. „ქმარს რომ ღალატობდი, მაშინ სად იყავი“, – მიმართა მინდიკაურმა მაგდა პაპიძეს.

დაპირისპირების გამო მოსამართლემ ბრალდებულის დარბაზიდან გაყვანა მოითხოვა, რის გამოც პროცესი მცირე ხნით შეჩერდა.

# უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პატიმრობიდან გათავისუფლდა

სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული გიორგი გელაძე პატიმრობიდან გათავისუფლდა.

– საქართველოს სახალხო დამცველმა მსჯავრდებულ გ.გ.-ს მიმართ კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევის გამო წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. სახალხო დამცველი წინადადებაში მიუთითებდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, კანონის უკუძალის პრინციპის აკრძალვის დარღვევით გიორგი გელაძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

კერძოდ, ბაქოს საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით 1997 წლის 28-29 იანვარს ჩადენილი ქმედების გამო (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), საქართველოს მოქალაქე გიორგი გელაძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო 2010 წლის 23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მისი სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოყვანის თაობაზე. ამავე განჩინებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაქოს საქალაქო სასამართლოს განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მუხლებთან



შესაბამისობაში მოიყვანა და გიორგი გელაძეს სასჯელის სახით კვლავ უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 25 მარტის განაჩენით არ დააკმაყოფილა გიორგი გელაძეს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საფუძველზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 6 ივნისის განაჩენით დააკმაყოფილა მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი და განმარტა, რომ ვინაიდან გიორგი გელაძეს მიერ დანაშაულის ჩადენისას მოქმედი კანონმდებლობა სანქციის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებდა, მას უნდა შეეცვალოს უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით“, რაც სრულ თანხვედრაშია სახალხო დამცველის რეკომენდაციასთან.

შესაბამისად, მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან, – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

# უკრაინელი ექსპერტები: სააკაშვილი შემოდგომაზე საქართველოში ბრუნდება

**დასაწყისი მე-5 გვერდზე**

კეთილდღეობის ფონდიდან არ დაფინანსებულა არც ოდესა-რენის გზის რეაბილიტაცია. თავისი კაბინეტი კარავში სააკაშვილმა ბოლო დროს ამ ტრასაზე მოაწყო. ესაა პროტესტი იმის გამო, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორი უკმაყოფილოა ამ გზის რემონტის დაფინანსებით, სამუშაოს ტემპებითა და ინსპექტირებით.

სააკაშვილის ინფორმაციით, კარავში გზის რეაბილიტაციისთვის შეგროვებულია 725 მილიონი გრივნა.

ოდესა-რენის გზას უკრაინული პრესა სააკაშვილის ცრუ დაპირებებში მოიხსენიებს. ოდესის გუბერნატორის გაკეთებულ საქმეებში მედია, ფაქტობრივად, ასახელებს მხოლოდ ბიზნესმენ ხმელნიცკის „კერძო“ პლაჟზე ღობის მონგრევას და საკუთარი გუნდის შექმნას.

პრესის სიტყვებით, ოდესის ოლქში პატრულის ჩამოყალიბებას სააკაშვილი ტყუილად იბრალებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირადად ილებდა ფიცს პატრულის თანამშრომლებისგან, მონაწილეობდა მათ წვრთნებში და ეკიპაჟებს მორიგეობაზეც კი დაჰყვებოდა.

სააკაშვილი ასევე საკუთარ სახელს უკავშირებს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრს. ჟურნალისტების ინფორმაციით, ოდესაში ასეთი დაწესებულების გახსნა ჯერ კიდევ იანუკოვიჩის დროს გადაწყდა. მისი შენობის რემონტი კი სააკაშვილის გამოჩენამდე ჩატარდა.

ექსპერტები ირონიულად მოიხსენიებენ სააკაშვილის დაპირებას ღია საბაჟო სივრცის გახსნის შესახებ. საბაჟოზე სასიკეთო არაფერი მომხდარა, ოდესის ოლქის საბაჟოში მიყვანილ სააკაშვილის გუნდელს სპეციალისტები კომპეტენციას უწუნებენ.

სააკაშვილის საქმიანობა დიდი კონფლიქტურობით ხასიათდება. ამჟამად მას ცილისწამებისა და შეურაცხყოფისთვის კიდევ ერთი ჩინოსანი, სახელმწიფო ფისკალური სამსახურის უფროსი რომან ნასიროვი უჩივის. სააკაშვილმა ნასიროვს „აბსოლუტური ქურდი“ უწოდა. გადასახადების მთავარი ამკრეფი ბოდიშის გარდა, ნაპრეზიდენტალისგან მილიონი გრივნის ოდენობის კომპენსაციასაც მოითხოვს.

სააკაშვილს შეიძლება ახალი პრობლემებიც გაუჩნდეს. ოდესის ოლქში დიდია სეპარატიზმის საფრთხე. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა მოსკოვში მცხოვრები და დასაქმებული ინალ არძინბას წინააღმდეგ. გამოძიებით გაირკვა, რომ აფხაზთა ლიდერის ვაჟი პროექტ „ბესარაბიის“ კურატორია. ამ პროექტით დაგეგმილია ოდესის ოლქის 9 რაიონის გამოყოფა უკრაინიდან და „ბესარაბიის სახალხო რესპუბლიკის“ შექმნა.

# ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე მოქალაქე ზაზა პატარაია დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა განახორციელა უსაქონლო ოპერაცია, რა დროსაც შპს „მედვოუ-ჯორჯიას“ სახელით გამოწერილ სასაქონლო ზედნადებში ყალბად დააფიქსირა 300.000 ლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურის – ანგიოგრაფიის დანადგარის გაყიდვა ერთ-ერთ იურიდიულ პირზე.

აღნიშნული ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების სანაცვლოდ ზაზა პატარაიამ მოითხოვა სასაქონლო ზედნადებში დაფიქსირებული საქონლის ღირებულების 40%-ის, 120.000 ლარის გადახდა, საიდანაც წინასწარ ავანსის სახით აიღო მოთხოვნილი თანხის ნაწილი.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით.

# პაატა იმნაძე: „საქართველოში ზიკას ვირუსის საფრთხე არ არსებობს“

დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ პაატა იმნაძის განცხადებით, საქართველოში ზიკას ვირუსის გადამტანი კოღო ორჯერ დაფიქსირდა, თუმცა, მისი მტკიცებით, დაავადების გავრცელების რისკი ნაკლებია, ვინაიდან სამხრეთ ამერიკაში საქართველოს მოსახლეობა მასობრივად არ დადის.

ზიკას ვირუსი, რომელიც კოღოებს გადააქვთ, 2015 წელს ბრაზილიაში, შემდეგ კი სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში გავრცელდა. ყველაზე დიდ საშიშროებას ვირუსი ორსული ქალებისთვის წარმოადგენს, რადგან ის ახალ დაბადებულებში მიკროცეფალიით დაავადებას იწვევს. ზიკას ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერ არ არსებობს.





ნონა ცაბაძე

***– ბატონო პაატა, ზიკას ვირუსმა საგრძნობლად შეაშინა მოსახლეობა, ზღვის სეზონი მოდის, შეშინებულია დამსვენებელი, ითქვა, რომ აჭარაში დაფიქსირდა.***

– გაგაწყვეტინებთ, მოდით აქვე დავაზუსტოთ, აჭარაში ზიკა არ დაფიქსირებულა. დასავლეთ საქართველოში, ორ წერტილში, აჭარაში და სამეგრელოში, ორ წერტილში, მაშინ როცა ჩვენ ვიკვლევთ ათეულობით წერტილს, ორ წერტილში, ანუ მხოლოდ ერთ ადგილას დაფიქსირდა გადამტანი კოღოს არსებობა და არა ზიკას არსებობა. ზიკა, თუ ბრაზილიაში არ წახვედი ან სამხრეთ ამერიკაში, ისე ვერ დაგემართება. მალარიის კოღო არის უამრავი, ერთ წერტილში კი არ არის, მალარიის კოღო ყველა წერტილშია და მალარია ხომ არა გვაქვს?!

***– რისი თქმა გსურთ?***

– ანუ ზიკას გადამტანის არსებობა არ ნიშნავს, რომ ზიკა გვაქვს. ზიკას გადამტანს მარტო ზიკა კი არ გადააქვს, გადააქვს ზეენგე, გადააქვს ჩიკონგუნია. აქედან გამომდინარე, გადამტანის არსებობა არ ნიშნავს ინფექციის არსებობას.

***– ორ წერტილში დაფიქსირდაო და გადამტანი კოღო სხვაგან არ იქნებოდა იმ ორი წერტილის გარდა?***

– ეს პირველად 2014 წელში დაფიქსირდა, ორ წერტილს კი იმიტომ არ გასცდა, რომ შარშან ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები, მთელ შავი ზღვისპირეთში და წელსაც ტარდება კიდევ უფრო ფართო მასშტაბით აღნიშნული სამუშაოები. მარტო ზიკაზე კი არ არის, საერთოდ ზიკას გადამტან კოღოსაც კლავს, მალარიის გადამტან კოღოსაც და არაფერი რომ არ გადააქვს, ისეთ კოღოსაც, რომელიც უბრალოდ გვაწუხებს.

***– კონკრეტულად სად აღმოაჩინეთ გადამტანი კოღოები?***

– ჩვენ მუდმივად ვაწარმოებთ ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა გადამტანებზე ზედამხედველობას და შარშანწინ აღმოჩნდა პირველად ბათუმის შემოგარენში საბურავების ერთ-ერთ საწყობში ამ სახეობის ტიპის კოღო. ყოველწლიურად ვახორციელებთ ამის შესწავლას. შარშან უკვე ზუგდიდის შემოგარენში იყო, ასევე საბურავების საწყობში. ხაზს ვუსვამ, რომ არც ერთ ქალაქში არ არის კოღო.

***– საუბარია, რომ საფრთხე მაინც არსებობს, რადგან ტურისტული სეზონი გახსნილია. ამაზე რას იტყვით?***

– არანაირი საფრთხე არ არსებობს, არც ჩვენები დადიან მასობრივად ბრაზილიაში დასასვენებლად და არც ბრაზილიელები არ იკლავენ თავს ჩვენთან ჩამოსვლით მასობრივად.

***– რა საფრთხის შემცველია ზიკას ვირუსი? რა სიმპტომები ახასიათებს?***

– ზიკას ვირუსით დაავადებულ ადამიანებს აღენიშნებათ ცხელება, გამონაყარი და კონიუნქტივი. ეს სიმპტომები 2-7 დღე გრძელდება. დღეისთვის სპეციალური მკურნალობა და ვაქცინა არ არსებობს. პროფილაქტიკისთვის ყველაზე ეფექტური გზაა კოღოების კბენისგან თავის დაცვა. ზიკას ვირუსი ადვილად გავრცელებადია, გადაიტანება კოღოების მიერ. დაავადების სიმპტომები ჰგავს სხვა აბროვირუსებით გამოწვეული ინფექციების სიმპტომებს.

ზიკას ვირუსით გამოწვეული დაავადება ჩვეულებრივ, მსუბუქად მიმდინარეობს და არ საჭიროებს სპეციფიკურ მკურნალობას. ინფიცირებული ადამიანი არ უნდა დაიტვირთოს მეტისმეტად, უნდა სვას საკმაო რაოდენობით სითხე და მიიღონ ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი პრეპარატები. სიმპტომების გაღრმავებისას აუცილებელია მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას.

***– ბატონო პაატა, დაბეჯითებით შეგიძლიათ იმის თქმა, რომ დღეს ზიკას ვირუსის საფრთხე არ არსებობს?***

– საფრთხე ნამდვილად არ არის. დავუშვათ, ჩამოვიდა ვიღაცა ზიკათი, ე.ი. ის უნდა მოხვდეს იმ წერტილში, სადაც არის ის კოღო, მერე იმ კოღომ აუცილებლად ზიკიანს უნდა უკბინოს და შემდეგ გადაიტანოს სხვაზე. ვიღაცამ შეიძლება შემოიტანოს, ამისი რისკი, რა თქმა უნდა, ძალიან მცირე, მაგრამ მაინც არის, მაგრამ გავრცელების რისკი პრაქტიკულად არ არის.

***– თავდაცვის რაიმე მექანიზმი თუ არსებობს?***

– თავდაცვის მექანიზმი არის საერთოდ კოღოებისგან თავდაცვა. არ არის აუცილებელი ზიკას გადამტანი იყოს, შეიძლება არ იყოს. თუ ეშინია, რომ კოღო უკბენს, იხმაროს კოღოსგან დამცავი და აღარ უკბენს კოღო. ბრაზილიაში ვინც მიდის, მათ უნდა იხმარონ დამცავები.

***– აჭარაში, ასევე, საუბარია რადიაციულ წყალზე. ამის თაობაზე რას გვეტყვით?***

– არა, სისულელეა!

***– როგორი ზაფხული გველის? რა ტიპის ვირუსების და ინფექციების გავრცელებას უნდა ველოდოთ?***

– ძირითადად ნაწლავური ინფექციები, რაც ჩვეულებრივ ყველა ზაფხულში, 20-30%-ით ყოველთვის მეტია ხოლმე, ვიდრე წლის სხვა პერიოდში. ამას ჩვეულებრივ ჰიგიენის წესების დაცვა უნდა.

***– რაიმე განსაკუთრებულს არ ელოდებით?***

– განსაკუთრებული არაფერი. ჩვეულებრივი ზაფხული იქნება.

# „თუ საქართველოდან გერმანიაში კრიმინალები ჩადიან, რა შუაშია აქ უკრაინა?“

**უკრაინული გამოცემა „КП в Украине“, საქართველოსა და უკრაინისთვის ვიზალიბერალიზაციის მიუნიჭებლობის შესახებ ჟურნალისტ ვიქტორ ტიმოფეევის სტატიას აქვეყნებს.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვერსიას:**

ევროპა უკან იხევს – უკრაინამ უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით ყველა პირობა შეასრულა, ევროკავშირი კი ვიზალიბერალიზებას მაინც არ იძლევა. ამას პატიოსან ქცევას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ევროკავშირის ქვეყნების მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტის წევრები საქართველოსთან, უკრაინასთან და კოსოვოსთან უვიზო რეჟიმის დაწესებაზე ვერ შეთანხმდნენ და ამიტომ გადაწყვეტილების მიღება სექტემბრისათვის გადადეს.





ევროპაში დღეს წამყვანი ქვეყნების – გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის საკმაოდ მდგრადი გავლენა ჩამოყალიბდა, რომლებიც სხვადასხვა საბაბით ცდილობენ, დაბრკოლება შეუქმნან საქართველოს, უკრაინას, კოსოვოსა და თურქეთს უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით.

გერმანია, მაგალითად, ვიზალიბერალიზების დაყოვნებას ქართული ორგანიზებული დამნაშავეობის გააქტიურებას უკავშირებს. უფრო მეტიც – ბერლინმა ევროკომისიას სთხოვა, რომ მოამზადოს მოხსენება ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ქართველი მაფიოზების მიერ ჩადენილი დანაშაულების თაობაზე. თუმცა რა შუაშია ამ შემთხვევაში უკრაინა, გაუგებარია. იტალია და საფრანგეთი აცხადებენ, რომ ჯერ უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს, შემდეგ – ვიზალიბერალიზება.

მოკლედ, ევროპამ უვიზო რეჟიმის შემოღება გადადო, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინამ, ისევე, როგორც საქართველომ, მთლიანად შეასრულა ვიზების გაუქმებისათვის აუცილებელი ყველა მოთხოვნა.

ევროკავშირის „უკანსვლის“ მთავარი მიზეზი ახლო აღმოსავლეთიდან (სირია) და ჩრდილოეთ აფრიკიდან (ლიბია) ჩასული მიგრანტების პრობლემაა, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, ევროპა პირდაპირ გაავსეს. როგორც ამბობენ ხოლმე მსგავს შემთხვევებში – „ცხელ რძეზე პირდამწვარ“ ევროპას ეშინია და „ცივ წყალსაც სულ უბერავს“ – ევროპის ქვეყნები სირიელ ლტოლვილებსა და უკრაინის მოქალაქეებს ერთმანეთისაგან აღარ ასხვავებენ. ისინი შიშობენ, რომ თუ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს უვიზოდ გადაადგილების უფლებას მისცემენ, მაშინ უკრაინიდან ევროპაში სამუშაოს საძებნელად მოსახლეობის დიდი ნაკადი დაიძვრება. გარდა ამისა, ჩვენი სახელმწიფო დონბასის გამო ევროპის ცხელ წერტილად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს ევროკავშირის ქვეყნებში უკრაინიდან დესტრუქციული ელემენტების შეღწევის საფრთხე.

უკრაინის სახალხო დეპუტატის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი დელეგაციის ხელმძღვანელ ვლადიმირ არევის აზრით, უკრაინისთვის ეს ფაქტი უვიზო რეჟიმის შემოღების ჩაშლას არ ნიშნავს, „მაგრამ, რასაკვირველია, ამდენი დავა და ვადის გადაწევები ევროკავშირს, როგორც პარტნიორს, არ შეჰფერის. უკრაინამ და საქართველოს თავიანთი ვალდებულებები შეასრულეს, ევროპამ კი – არა, მით უმეტეს, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმებას რუსეთთან დამოკიდებულების ფონზე ჩვენთვის ერთგვარ ტკბილი აზის, მოთაფვლის მნიშვნელობა აქვს. სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს საფრანგეთსა და გერმანიაში არჩევნების შედეგებმაც, რადგან მიგრაციული კრიზისის ფონზე ამ ქვეყნებში პოპულისტ პოლიტიკოსებისა და რადიკალების რეიტინგმა მოიმატა ანუ მათ შეუძლიათ, სავიზო რეჟიმის შესახებ კარტი გაათამაშონ. ვფიქრობ, რომ, საბოლოო ჯამში, უვიზო რეჟიმს მაინც მოგვცემენ, მაგრამ, თუ ეს არ მოხდება, მაშინ ევროკავშირი საიმედო პარტნიორის სახელს დაკარგავს და ეს მისთვისაც კატასტროფა იქნება.

**ნიუსპრესი**

# „Каспій“: „სომხეთი საქართველოსთან მიმართებით ჯიუტი ვირივით იქცევა“

**გასულ კვირას გაეროს გენასამბლეამ 57 ხმით 13-ის წინააღმდეგ საქართველოსთვის სასარგებლო რეზოლუცია მიიღო – „აფხაზეთიდან (საქართველო) და სამხრეთ ოსეთიდან (საქართველო) იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების მდგომარეობის შესახებ“. კენჭისყრისას სომხეთმა ხმა წინააღმდეგ მისცა. ოფიციალური თბილისი „საწყენად“ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სომხეთმა მხარი არ დაუჭირა საქართველოსათვის სასარგებლო რეზულაციას“, – აღნიშნულია აზერბაიჯანულ გამოცემა „კასპიის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი – ალი საიდოვი).**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:**

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ რაც დრო გადის, საქართველოს ამ საკითხში მხარს სულ უფრო მეტი სახელმწიფო უჭერს. ამ რეზოლუციის ხმის მიცემის დროს თბილისმა 76 სახელმწიფოს მხარდაჭერა მოიპოვა, მაგრამ მათ შორის სომხეთი არ არის. „სომხეთი ჯიუტი ვირივით იქცევა და თავისი პოზიციის შეცვლა არ სურს. საკვირველი ურყეობაა“, – ხაზს უსვამს ავტორი, – 2016 წელს ერევანმა კვლავ შეინარჩუნა თავისი „კეთილმეზობლური ტრადიცია საქართველოს მიმართ“.



ვინმემ შეიძლება გაიფიქროს, რომ სომხეთი ასეთი მოქმედებით რუსეთის წინაშე მოკავშირის ვალდებულებას ასრულებს, მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენი უმადური მეზობლების ქცევას მათივე საკუთარი მერკანტილური ინტერესები განსაზღვრავს. მაგალითად, 2015 წელს, როცა უკრაინის ამბების გამო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთისათვის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე რეზოლუციას განიხილავდნენ, აზერბაიჯანმა რუსეთს მხარი დაუჭირა, სომხეთმა კი თავი შეიკავა.

ასეთ სიტუაციაში გამაოგნებელია საქართველოს მშვიდი პოზიცია, რომელსაც სომხეთი მუდმივად სისხლს უშრობს სხვადასხვა პრეტენზიებით – ხან ჯავახეთის შესახებ, ხან ეკლესიების კუთვნილების თაობაზე... სულ ბოლოს სომხეთი აფხაზეთსაც გადასწვდა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებს.

ყოველთვის, როცა კი საქართველოს წინააღმდეგ გამოდის, სომხეთი ცრემლებს ღვრის და უშნოდ ცდილობს ცდილობს საკუთარი ქმედება გაამართლოს.

ქართველები მომთმენი ხალხია, მაგრამ, ალბათ, დადგება დრო და მათაც მოთმინების ფიალა აევსებათ.. ჰოდა, თბილისი ერევანს ჟანგბადს გადაუკეტავს და ის თავის მთავარ სპონსორთან – რუსეთთან მხოლოდ საჰაერო მიმოსვლის ამარა დარჩება. აი, მაშინ მართლაც მოვა სომხეთის აღსასრული, რომელიც ისედაც ეკონომიკურ და სოციალურ კოლაფსში იმყოფება.

**ნიუსპრესი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით. ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ამავე წელს პირველად გაიცა სერთიფიკატი CE პროდუქტი რომელსაც მალავს ფარმაცევტული ბაზარი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები", მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა), აქვეითებს მადას, გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, ამაღლებს სქესობრივი პოტენციის დონეს, ხელს უწყობს „სქესობრივი მადის" აღძვრას. ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს". უცნაურია, დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ, რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი, გერმანიუმი) ნეოდიმი (Nd) იშვიათი მინერალია დედამიწაზე, იგი არის მცირე ზომის, აქვს ძლიერი მაგნიტური ძალა. ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, არ იწვევს ალერგიას. მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე.

**ფასი 50 ლარი.**

---

1) წლების განმავლობაში მქონდა დისკომფორტი ზურგის და წელის არეში, მქონდა დაძაბულობა და ტკივილი კისრისა და კეფის არეში, ამინდის ცვლილება მოქმედებდა უარყოფითად, მაწუხებდა არტერიულო წნევა. ტიტანის სამაჯურის წყალობით მომეხსნა ყველა ზემოთ აღნიშნული ტკივილი. დიდი მადლობა.

**(ნინო.გ.) თბილისი**

2) მაწუხებდა ოსტეოქონდროზი, მქონდა კისრის მალების ძლიერი ტკივილი, ორი თვის განმავლობაში საგრძნობლად გამიუმჯობესდა მდგომარეობა. ძალიან კმაყოფილი ვარ, თავს ვგრძნობ შესანიშნავად.

**(ლილი.შ) ხაშური**

3) წლების განმავლობაში მაწუხებდა ყურებში შუილი, წელისა და ფეხის ტკივილი, სამაჯურის ტარება შვილმა მირჩია. პირველივე დღესვე ვიგრძენი შვება, ერთი თვის განმავლობაში კი ალაგდა ჩემი ყველა ჩივილი, თავს მსუბუქად და ბედნიერად ვგრძნობ. დიდი მადლობა და წარმატებები ამ ღვთისნიერ საქმიანობაში.

**(ცისანა.ლ) თბილისი**

4) მართალი გითხრათ, არც მჯერა თუ ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა არტერიული წნევისაგან, ჩემი ქრონიკული ტკივილებისგან გათავისუფლება. ბავშვობიდან მაწუხებდა შაკიკის ურთულესი ფორმა. გადავწყვიტე შემეძინა ტიტანის სამკურნალო სამაჯური. მეორე დღესვე ვიგრძენი შვება. ტკივილების ხანგრძლივობა და სიმძლავრე დღითიდღე მცირდება. წნევის პრობლემა სრულიად მოხსნილია. დიდი მადლობა.

**(არჩილ.ბ) ბათუმი**

5) ახლობელმა მიამბო სამაჯურის შესახებ, არ მჯეროდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე გამოყენება. მაწუხებდა ჭარბი წონა, გულძმარვა, კოლიტი. ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, სახსრების ტკივილი, პირველივე დღეებიდან ვიგრძენი ენერგიის მოზღვავება, საოცარი სიმსუბუქე, 2-3 კვირაში გამიქრა სიმსუნაგის შეგრძნება, ტკბილეულზე მოთხოვნა აღარ მქონდა, მადა საგრძნობლად დამიქვეითდა. მეორე კვირიდანვე გამიქრა ტკივილები სახსრებში, საოცრად მსუბუქად დავიწყე მოძრაობა. გამიუმჯობესდა გუნება-განწყობა, დამიბრუნდა ცხოვრების ხალისი, მომიწესრიგდა ძილი, მომეხსნა ხველა. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები, დავიწყე ისეთი პროდუქტების მიღება, რომლებსაც ადრე ვერიდებოდი, ნაწლავების მოქმედება გახდა რეგულარული და ყოველდღიური.

გამიუმჯობესდა კანის, ფრჩხილების მდგომარეობა, შემიჩერდა თმის ცვენა. გამიქრა ტკივილები ზურგისა და წელის არეში. რაც მთავარია, დავიწყე წონაში კლება, 3 თვის ბოლოს აღმოჩნდა, რომ დავიკელი 12 კგ-მდე. დიდი მადლობა.

**(ალეკო.ს) რუსთავი**

6) უკვე თვენახევარია, რაც ტიტანის სამაჯურს ვატარებ. პირველივე დღიდან ვიგრძენი საოცარი სიმშვიდე, თანდათან მომიწესრიგდა ნერვული სისტემა, აღარ ვარ ისე აღგზნებული და ნერვიული.

**(ანი.ნ) ქუთაისი**

**მისამართი ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას 79. ტელ.: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე 579 885 996**
**ანგარიშის ნომერი**
**საქართველოს ბანკი GE79BG0000000327063600**

# უკრაინელები რუსულ ენაზე უარს აცხადებენ



თანახმად როზუმკოვის სახელობის ანალიტიკური ცენტრის გამოკვლევისა, უკრაინის მოქალაქეთა 74% მშობლიურ ენად უკრაინულს მიიჩნევს; რუსულს მშობლიურად მხოლოდ 15% თვლის. შეკითხვაზე, თვლით თუ არა, რომ რუსულიცა და უკრაინულიც თქვენთვის მშობლიური ენაა, დადებითი პასუხი მხოლოდ 2%-მა გასცა.

1987 წელს ანალოგიური გამოკითხვის დროს უკრაინულს მშობლიურ ენად მხოლოდ 44% მიიჩნევდა, რუსულს – 30%, დანარჩენებისთვის რუსულიც და უკრაინულიც მშობლიური ენები იყო.

1991 წელს უკრაინულს მშობლიურ ენად 50% მიიჩნევდა, რუსულს – 42%. შეკითხვაზე, რომელ ქვეყანას თვლით სამშობლოდ, უკრაინას თუ საბჭოთა კავშირს, 89%-მა სამშობლოდ უკრაინა დაასახელა.

# ჰოლანდიელები კვლავ ჭირვეულობენ




ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა მარკ რიუტემ განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ შესაძლოა უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოციაციის თაობაზე ხელშეკრულებას ხელი არ მოაწეროს. რიუტემ თქვა, რომ ამ საკითხზე ვერც წამყვან ჰოლანდიურ პარტიებთან, ვერც ევროკავშირთან შეთანხმება ვერ მოხერხდა.

– იმედი მაქვს, რომ საქმე ხელშეკრულების დაბლოკვამდე არ მივა და კონსენსუსს მივაღწევთ, – აცხადებს რიუტე.

# ალექსანდრე ხორშრმა რუსეთი დატოვა




რუსული დისიდენტური მოძრაობის „თანასწორობა და ერთიანობის" ლიდერმა ალექსანდრე ხორშრმა რუსეთი დატოვა. ის ფინეთში გადავიდა და აპირებს, იქ პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვოს.

რუსეთში ხორშრი ექსტრემისტად იყო გამოცხადებული და სასტიკ დევნას განიცდიდა.

ალექსანდრე ხორშრი და მისი მოძრაობა პუტინის ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ობამა ოჯახს აშშ-ის ეროვნულ პარკებს დაათვალიერებინებს



აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა 17-19 ივნისს თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ქვეყნის ეროვნულ პარკებს – კარლსბადის გამოქვაბულებსა და იოსემიტს ეწვევა.

კარლსბადის გამოქვაბულებში ისინი დაათვალიერებენ სტალაქტიდებსა და სტალაგმიტებს და ასევე იქ დაბუდებულ ღამურებს, ხოლო იოსემიტში – გიგანტურ სეკვოიებს.

აღსანიშნავია, რომ ობამამ ბუნებას ერთ-ერთი უდიდებულესი საჩუქარი უწოდა, რომელიც კი კაცობრიობას ოდესმე მიუღია.

მცირე ხნით ადრე თეთრ სახლში განაცხადეს, რომ ობამა ქვეყნის სხვა პრეზიდენტებზე მეტად ზრუნავს ბუნების ძეგლებზე. კერძოდ, მან 265 მილიონ აკრზე მეტი (1 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტი) საზოგადოებრივი მიწა და წყლის რესურსები დაიცვა, ისტორიული ადგილები ახალი პარკებითა და ძეგლებით, ასევე საწარმოებისთვის გარკვეული სამუშაო შეზღუდვები შემოიღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● ვყიდი ხის ფანჯრებს. ტელ: 557-68-83-43.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

# ზეპ ბლატერი: „უეფა აყალბებდა, ფიფა — არა“




ყოველთვის იყო საუბრები წილისყრის გაყალბებასა და გუნდებისთვის სასურველი მეტოქეების შერჩევაზე. ფიფას ყოფილმა პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გაყალბება უეფას გადააბრალა და განაცხადა, რომ ფიფა მსგავს მანიპულაციას არასდროს ეწეოდა.

**ზეპ ბლატერი:**

— უეფა იმას აკეთებს, რასაც ფიფა არასდროს აკეთებდა — წილისყრას აყალბებს. როგორ ხდება ეს? ძალიან მარტივად. რამდენიმე ბურთულა, რომელიც წილისყრისთვისაა განკუთვნილი, მაცივარში იდება და იყინება. შესაბამისად, ამოღებისას ცივი და თბილი ბურთულების ხელით გარჩევა და სასურველი შედეგის მიღება შეიძლება. ყველაფერი უმცირეს დეტალებამდეა გაწერილი. ევროპაში ხშირად აყალბებდნენ წილისყრას.

# მსოფლიოს ჩემპიონატზე მოჭიდავეებმა ბრინჯაო ირგუნეს



ლოს-ანჟელესში გამართულ მსოფლიო თასზე თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ამასთან, მე-3 ადგილისათვის გათვალისწინებული ფულადი პრემია 20.000 დოლარი მიიღო.

მინდორაშვილის გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე სამი შეხვედრა გამართა, პირველ და გადამწყვეტ შეხვედრაში რუსეთთან ჩვენმა ნაკრებმა 4:4 იჭიდავა, თუმცა ქულების დამატებითი მაჩვენებლით 14:16 მოგება რუსეთის ნაკრებს მიენიჭა.

მეორე შეხვედრაში ჩვენმა ნაკრებმა თურქეთი იოლად 7:1 დაამარცხა, ჯგუფის ბოლო შეხვედრაში კი მონღოლეთთან ისევ ფრედ (4-4) იჭიდავა, ხოლო ქულების დამატებითი მაჩვენებლით 18:14 გაიმარჯვა და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი საქართველოს ნაკრებმა მასპინძელ აშშ-ის ნაკრებთან დაძაბულ შეხვედრაში ფრედ 4:4 იჭიდავა. ჩვენები აგებდნენ და ანგარიში მძიმეწონოსანმა გენო პეტრიაშვილმა გაათანაბრა, გადამწყვეტი ვლადიმერ ხინჩეგაშვილის დანიელ კენგოტთან 2:32 წუთში მოპოვებული წმინდა გამარჯვება აღმოჩნდა და საქართველოს ნაკრებმა ქულების დამატებითი მაჩვენებლით 16:15 სძლია ამერიკას.

მსოფლიოს თასის გამარჯვებული ზედიზედ მეხუთედ ირანის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში რუსეთი 5:3 დაამარცხა.

# უეფამ რუსეთი დასაჯა და გააფრთხილა



უეფამ რუსეთის ნაკრები 150.000 ევროთი დააჯარიმა და ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე პირობითი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

საფრანგეთის პოლიციამ ლილში ნაკრების მორიგ მატჩზე მიმავალი რუსი ფანების ავტობუსი გააჩერა და ქვეყნიდან რამდენიმე მათგანის დეპორტაცია განახორციელა.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ განაცხადა, რომ უეფას გადაწყვეტილების გაპროტესტებას არ აპირებენ.

რუსები არც მალავენ თავიანთ ქმედებებს. ვინმე ვლადიმირმა პრესასთან ისაუბრა მარსელში ინგლისი-რუსეთის მატჩამდე მომხდარი არეულობის შესახებ.

— მატჩის დღეს მარსელში 150 უძლიერესი რუსი ხულიგანი ჩამოვიდა. ჩხუბში მოსკოვის ლოკომოტივის 500-600 ფანი მონაწილეობდა. ყოველთვის ვმონაწილეობთ ისეთ მნიშვნელოვან ტურნირებში, როგორიც ევროა. ერთიანები ვიყავით ინგლისელების წინააღმდეგ. არ აქვს მნიშვნელობა, საიდან მოვედით ან რომელ კლუბს ვუჭერთ მხარს. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველა რუსეთიდან ვართ და ინგლისელების წინააღმდეგ ვჩხუბობთ. ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ უძლიერესი ხულიგნები არიან. ჩვენ მოვედით, რათა დავანახოთ მათ, რომ ისინი გოგონები არიან, — თქვა ვლადიმირმა.

საფრანგეთის სპორტის მინისტრმა პატრიკ კანერმა ინგლისის მაგალითზე რუსეთს ხულიგნების დაბლოკვისკენ მოუწოდა და სთხოვა, რომ ისინი საფრანგეთში ევრო 2016-ზე არ გამოუშვან.

— ჩვენმა ინგლისელმა მეგობრებმა 3.000 ხულიგანი დაბლოკეს და ინგლისიდან აქ არ გამოუშვეს. ვთხოვთ რუსებს, ანალოგიურად მოიქცნენ. ხულიგნებს პრობლემები მოაქვთ და მიხარია, რომ უეფა სანქციებს ადეკვატურად განიხილავს. ჩვენს ქვეყანაში არ დავუშვებთ ტურნირის წესების დარღვევას, — განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატზე ინგლისი-რუსეთის მატჩამდეც და მატჩის შემდგომ რუს და ინგლისელ გულშემატკივრებში მასობრივი შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც 35 ინგლისელი დაშავდა, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია. 50 წლის ენდრიუ ბეიჩი კი რუსი გულშემატკივრების მიერ რკინის ხელკეტების ცემის გამო კომაში იმყოფება.

ფრანგ სამართალდამცავებს ხულიგნების ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაშლა მოუხდათ.

აღსანიშნავია, რომ უეფამ მხოლოდ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ გახსნა დისციპლინარული პროცესი.

დარჩენილ მატჩებში, გულშემატკივართა მხრიდან სტადიონზე ხულიგნური ქმედებების განმეორების შემთხვევაში, რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატიდან მოიხსნება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ესპანეთმა ჩეხეთს მოუგო, იტალიამ ეშმაკები გაწკეპლა

## დ ჯგუფი

### ესპანეთი-ჩეხეთი 1:0

ტულუზა. სტად დე ტულუზი

1:0 პიკე (87)

**ესპანეთი:** დე ხეა, ხუანფრანი, პიკე, რამოსი, ალბა, ფაბრეგასი (ტიაგო ალკანტარა 70), ბუსკეტსი, ინიესტა, სილვა, მორატა (ადურისი 70), ნოლიტო (პედრო 82)

**ჩეხეთი:** ჩეხი, კადერაბეკი, სივოკი, ჰუბნიკი, ლიმბერსკი, პლაშილი, დარიდა, გებრე სელასიე (შურალი 86), როსიცკი (პაველკა 88), კრეიჩი, ნეციდი (ლაფატა 75)

ესპანეთის ნაკრებმა უკვე მიგვაჩვია იმ ფაქტს, რომ დიდი ტურნირების სტარტზე ყოველთვის ჩრდილში დგას. გასულ 3 ტურნირზე ფურია როხას არცერთი საწყისი მატჩი არ მოუგია და ამიტომაც გამოვიდა რთული ჩეხებთან შეხვედრაც. ამჯერად ესპანეთმა კი მოიგო, მაგრამ ეს მოხდა მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე.

არადა, მთელი მატჩის განმავლობაში ესპანელები დომინირებდნენ, როგორც ყოველთვის, აკონტროლებდნენ ბურთს, შექმნეს საკმაოდ ბევრი მომენტი, მაგრამ კარგად მოთამაშე პიტერ ჩეხს ვერაფერი მოუხერხეს.

პაველ ვრბას გუნდი კი კონტრშეტევებისთვისაც იშვიათად იცლიდა და მხოლოდ ერთხელ შეძლეს შეეწუხებინათ დავიდ დე ხეა. და მაინც, ჩეხებს შეეძლოთ ფრე ეთამაშათ, მაგრამ ფურია როხას დაწოლამ თავისი მაინც გაიტანა და ხერარდ პიკეს ზუსტი თავურის შემდეგ მოახერხა, გამარჯვება მოეტანა გუნდისთვის.

ესპანეთმა პირველად მოიგო სასტარტო მატჩი და ხორვატებთან ერთად ჯგუფს ლიდერობს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი**— ანდრეს ინიესტა.

ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა. ის იწყებდა გუნდის შეტევების უდიდეს ნაწილს, ჭკვიანური პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. გასაკვირიც არ არის, რომ პიკემაც მისი პასის შემდეგ გაიტანა. ერთი სიამოვნება იყო ესპანელთა „ტვინის“ ხილვა მოედანზე.

ამასთან, ინიესტა პირველი ესპანელი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც სამ სხვადასხვა ევროპის ჩემპიონატზე მინიმუმ ერთი საგოლე პასი მაინც გააკეთა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 2.ხორვატია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3.ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4.თურქეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

## ე ჯგუფი

### ირლანდია-შვედეთი 1:1

სენ დენი. სტად დე ფრანსი

1:0 ჰულეჰანი (48), 1:1 კლარკი (71ავ)

**ირლანდია:** რენდოლფი, კოულმენი, ოში, კლარკი, ბრეიდი, მაკარტი (მაკგიდი 85), უელენი, ჰენდრიკი, ჰულეჰანი (კინი 78), უოლტერსი (მაკლინი 63), ლონგი

**შვედეთი:** ისაკსონი, ლუსტიგი (იოჰანსონი 45), ლინდელოფი, გრანქვისტი, ოლსონი, ლარსონი, ლევიცკი (ეკდალი 86), კალსტრომი, ფორსბერგი, იბრაჰიმოვიჩი, ბერგი (გუიდეტი 59)

დაძაბული მატჩი სასიამოვნო სანახავი გამოდგა. ორივე გუნდმა იცოდა, რომ სხვა მატჩებში ქულების მაქსიმალურად აღება რთული იქნებოდა და მოედანზე მოსაგებად გამოვიდნენ.

ბურთი უფრო დიდხანს შვედებს ეკავა, მაგრამ მომენტებს ირლანდიელები ქმნიდნენ. სულ მცირე, სამჯერ შეეძლოთ შვედების დამწუხრება. მარტო ჰენდრიკის დარტყმა რად ღირდა, როდესაც ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

სამაგიეროდ, მე-2 ტაიმის დასაწყისში უესლი ჰულეჰანის დარტყმულმა მიაღწია მიზანს.

ამის შემდეგ უკვე დადგა დრო, ტემპისთვის შვედებს მოემატებინათ. ირლანდიელებმა მხოლოდ მეტოქის შეტევების პირველ ნაწილს გაუძლეს, შემდეგ კი სკანდინავიელებს თავადაც წაეხმარნენ — იბრაჰიმოვიჩის გამჭოლი პასის შემდეგ კლარკმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ორივე გუნდმა სახიფათო შეტევები გაცვალეს, მაგრამ მომგებიანი გოლის გატანა ვერ მოახერხეს.



**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი**— უესლი ჰულაჰანი

შესანიშნავად ითამაშა ირლანდიელთა პლეიმეიკერმა, თავისი საფირმო დრიბლინგით რამდენჯერმე ძალიან გაამწვავა შეტევა, გოლიც ჩინებული გამოუვიდა.

### ბელგია-იტალია 0:2

ლიონი. სტად დე ლიონი

0:1 ჯაკერინი (32), 0:2 პელე (90)

**ბელგია:** კურტუა, სიმანი (ფერეირა-კარასკო 75), ალდერვეირელდი, ვერმაელენი, ვერტონგენი, ვიტსელი, ნაინგოლანი (მერტენსი 62), ფელაინი, დე ბრუინი, აზარი, ლუკაკუ (ორიჯი 73)

**იტალია:** ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი, კანდრევა, პაროლო, დე როსი (ტიაგო მოტა 78), ჯაკერინი, დარმიანი (დე შილიო 59), ედერი (იმობილე 75), პელე

სავარაუდოდ, ბელგიის ნაკრები ამ ტურნირის იმედგაცრუება იქნება, რადგან მისგან გაცილებით მეტს ითხოვდნენ, მაგრამ პირველივე მატჩში „წითელი ეშმაკების“ არანორმალური შეტევა პატარა ბავშვებივით მოგვევლინა. ეს კი იტალიელთა ძლიერი დაცვის ბრალი იყო.

იტალიელები უფრო ჩამოწერილად მიაჩნდათ ექსპერტებს, მაგრამ ანტონიო კონტეს ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ „სკუადრა აძურა“ მაინც იტალიის ნაკრებია და მათი ჩამოწერა ნაადრევია.

ბელგიელები შეეცადნენ, ინიციატივა ხელში ჩაეგდოთ და მოედნის დიდ ნაწილსაც დაეუფლნენ, იტალიელები კი ცივსისხლიანად ირჯებოდნენ, მშვიდად ხვდებოდნენ მეტოქის შეტევებს და, როდესაც მათ ნახევარზე გადიოდნენ, ხიფათს ხიფათზე ქმნიდნენ.

ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევა კი გოლით დასრულდა — ბონუჩის გრძელი პასი საჯარიმოში ჯაკერინიმ მიიღო და აუღელვებლად გაუტანა კურტუას.

გოლის შემდეგაც მშვიდად გააგრძელეს იტალიელებმა თამაში და თავიანთ შანსს ელოდნენ. ბელგიელები შესვენებამდე გონს ვერ მოვიდნენ და არაფერი გამოსდიოდათ. მხოლოდ 60 წუთის შემდეგ დაიწყეს ბუფონის კართან მიახლოება, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ უფრო კარგი გამოჩნდა „აძურის“ დაცვა. კონტეს გუნდი ბრწყინვალედ თამაშობდა დაცვაში, ხოლო კომპენსირებულ დროში კიდევ უფრო ბრწყინვალე კონტრშეტევა განახორციელეს და პელემ საბოლოო წერტილი დაუსვა მატჩს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — ლეონარდო ბონუჩი

იტალიელები თავს მშვენივრად იცავდნენ და მათი ოთხეული ამ მხრივ გამორჩეული იყო. თუმცა ბონუჩიმ დაცვასთან ერთად პირლოს არყოფნაც „შეითავსა“ და შეტევების დიდ ნაწილს იწყებდა. სწორედ მისი დიდებული პასით გავიდა პირველი გოლი, დაცვაში კი ყველგან იყო, სადაც გუნდი მოითხოვდა, კარგად კითხულობდა თამაშს, გადაკეტა ზონები, დაბლოკა ყველაფერი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2.ირლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3.შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4.ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

# ბარსელონამ დარღვევა აღიარა

ნეიმარის ტრანსფერთან დაკავშირებით მიმდინარე საგადასახადო დავაზე ბარსელონამ განცხადება გააკეთა და კატალონიური კლუბის მხრიდან დარღვევების არსებობა აღიარა.

— დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, დაეთანხმოს კლუბის იურიდიული დეპარტამენტის ინიციატივას და ნეიმარის ტრანსფერის დაგეგმვის დროს დაშვებული საგადასახადო შეცდომები აღიაროს. ეს გადაწყვეტილება ორშაბათს გამართულ სხდომაზე იქნა მიღებული.

აღნიშნული საქმის მოსმენა ბარსელონის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს.

შეთანხმება 2011 და 2013 წლებში ნეიმარის ტრანსფერის დაგეგმვასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომების აღიარებას ითვალისწინებს. ამასთანავე, კლუბი თავისუფლდება 2014 წლის ქმედებებზე პასუხისმგებლობისგან.

საბჭოს მიაჩნია, რომ ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან გაურკვეველი სიტუაცია დასრულდება და კლუბს სამომავლოდ სპორტულ და ეკონომიკურ მიღწევებზე აქცენტის გაკეთების საშუალება ექნება.

— საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საბჭომ გადაწყვიტა, ეს საკითხი წევრი დელეგატების მომდევნო გენერალურ ასამბლეაზე გამოიტანოს, — ვკითხულობთ ბარსელონის განცხადებაში.




ამ აღიარების შემდეგ ბარსელონა ჯარიმის სახით 5.5 მილიონ ევროს გადაიხდის.

## შედეგები

13 ივნისი

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ესპანეთი-ჩეხეთი ............................ 1:0
ირლანდია-შვედეთი ...................... 1:1
ბელგია-იტალია ............................ 0:2

კოპა ამერიკა

მექსიკა-ვენესუელა ........................ 1:1
ურუგვაი-იამაიკა ........................... 3:0

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# არაქისის, თხილის, კაკლის, თევზის მიმართ ალერგია მთელი ცხოვრება რჩება

ალერგია თანამედროვე დაავადებაა. ბოლო დროს ალერგიული დაავადებების სიხშირე მკვეთრად მატულობს.

ვარაუდობენ, რომ ალერგია აწუხებს თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს მოსახლეობის 12-15%-ს.

პოლინოზი, ანუ „თივის ცხელება“ (ალერგია მცენარეთა მტვრის მიმართ) და ალერგიული რინიტი აწუხებს მოსახლეობის 8-10%-ს.

ალერგიული დერმატიტი კანის ყველაზე გავრცელებული დაავადებაა 11 წლამდე ბავშვებში.

ურტიკარია, ანუ „ჭინჭრის ციება“ და „კვინკეს შეშუპება“, ყოველ წელს ემართება მოსახლეობის დაახლოებით 12%-ს.

წამლებზე ალერგიული რეაქციები უვითარდება ჰოსპიტალიზებული პაციენტების 2-3%-ს.

6 წლამდე ასაკის ბავშვთა 8%-ს აქვს საკვების რომელიმე სახეობის აუტანლობა, აქედან 2-4%-ს უყალიბდება კვებითი ალერგია, ხოლო მოზრდილებში კვებითი ალერგია 1 – 2%-ს აწუხებს.

**ანაფილაქსია** – დაუყოვნებელი შოკური ტიპის ალერგიული რეაქცია, მოსახლეობის დაახლოებით 3%-ს უვითარდება.

ადამიანის ორგანიზმს მასში შეჭრილი „საშიში“ აგენტებისაგან, ანუ ანტიგენებისაგან, როგორიცაა ბაქტერიები, ვირუსები, უცხო ცილოვანი ნივთიერებები, იმუნური სისტემა იცავს. იმუნურ სისტემას აქვს მეხსიერება.

ალერგიის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს მემკვიდრეობა, ანუ ალერგიის მიმართ მემკვიდრული განწყობა ასრულებს, თუმცა ალერგია შეიძლება უცებ გაჩნდეს. ალერგიის განვითარების ალბათობა განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როცა ოჯახის ერთ-ერთი წევრი ალერგიითაა დაავადებული.

თუ ალერგიულია ერთ-ერთი მშობელი, ბავშვის ალერგიის ალბათობა დაახლოებით 30%-ია, ხოლო თუ ორივე ალერგიულია, დაავადების ალბათობა 50%-ს აღწევს.



ალერგიული რეაქციები მრავალფეროვანია, დამოკიდებულია ორგანიზმის ინდივიდუალურ თვისებებზე, შეჭრილი ნივთიერების – ალერგენის ბუნებაზე, გარემოზე, ფონური ქრონიკული დაავადებების არსებობაზე, რომლებიც ცვლიან ორგანიზმის საწყის იმუნურ სტატუსს და სხვა ფაქტორებზე.

**ალერგიულ რეაქციას მრავალფეროვანი სიმპტომები აქვს. მათგან ყველაზე ხშირია:**

**რინიტი, ანუ სურდო** – ცხვირის „გაჭედვა“, წყლიანი გამონადენი, ქავილი, ცემინება, ყურების ქავილი და დაგუბება.

**ალერგიული კონიუნქტივიტი, ანუ თვალის ლორწოვანის ალერგიული დაზიანება** – სკლერების სიწითლე, ქავილი, ცრემლდენა.

**ატოპური დერმატიტი, ანუ კანის ალერგიული დაზიანება** – კანის სიწითლე, ქავილი, სიმშრალე.

**ურტიკარია, ანუ კანის ალერგიული გამონაყარი** – ჭინჭრის ციება, და კვინკეს შეშუპება, ანუ სახის მიდამოს: ტუჩების, ქუთუთოების, ლოყების შეშუპება.

**ატოპური დერმატიტი, ანუ ატოპური ეგზემა** – კანის აქერცვლა და ქავილი.

**ბრონქული ასთმა** – სუნთქვის დარღვევა: ქოშინი, გაძნელებული ამოსუნთქვა, მსტვინავი სუნთქვა, შეტევითი ხველა.

**1.** ანაფილაქსია, ანუ დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქცია, ვითარდება ანტიგენის შეჭრიდან რამდენიმე წუთის განმავლობაში. შეიძლება განვითარდეს ე.წ. ანაფილაქსიური შოკი – სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა: არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა, გონების კარგვა, ასთმური შეტევა და სხვა. ანაფილაქსიური შოკი უხშირესად მედიკამენტებზე და მწერების ნაკბენზე ვითარდება.

ფრთხილად იყავით, დაიმახსოვრეთ და ჩაინიშნეთ ყველა უჩვეულო რეაქცია მედიკამენტების მიმართ და აუცილებლად აცნობეთ ამის შესახებ ექიმს. თუ აღნიშნული რეაქცია შეფასებული იქნა, როგორც „ალერგიული ტიპის რეაქცია“, კატეგორიულად ერიდეთ ასეთი მედიკამენტის განმეორებით მიღებას.

**2.** დაყოვნებული ტიპის რეაქცია: შეიძლება განვითარდეს ალერგენთან კონტაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგაც. მისი ერთ-ერთი სახეა შრატისმიერი დაავადება, რაც ვითარდება ორგანიზმში უცხო ცილოვანი ნივთიერების (სისხლის და მისი კომპონენტების გადასხმა, აცრები, შრატების (ანატოქსინების) შეყვანა), შეყვანისას. ხშირად ახლავს სხვა არასპეციფიური სიმპტომებიც: ცხელება, პერიფერიული ლიმფური ჯირკვლების გადიდება, სახსრების ტკივილი და სხვა.

არსებობს დაყოვნებული წამლისმიერი რეაქციაც. მიზეზი ხშირად ანტიბიოტიკები, ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი მედიკამენტებია, გამოიხატება კანზე გამონაყარით, ტემპერატურის ზომიერი მატებით და ა. შ. ასეთი რეაქცია, ზოგჯერ, შეიძლება შეცდომით, ინფექციური დაავადების გამოვლინებადაც კი იქნას მიჩნეული.

**ალერგენებია:** ოთახის მტვერი, ცხოველის ბეწვი, ფრინველების ბუმბული, მწერების შხამი, მცენარეების მტვერი, ობი, (უფრო ზუსტად, მასში არსებული სოკოს ჯგუფის ორგანიზმები), საკვები, მედიკამენტები,

**საყოფაცხოვრებო და საწარმოო ქიმიური ნვთიერებები:** პარფიუმერია, სალებავები, სარეცხის საშუალებები და სხავა.

**ალერგენები არიან ყველგან:** საცხოვრებელ სახლებში, სამუშაო ადგილზე, ქუჩაში, ბუნებაში (ტყეში, ველზე, ბაღში და ა.შ.)

დადგენილია, რომ ალერგიული ადამიანების ნახევარზე მეტის ალერგიული შეტევების მიზეზი მისივე ბინაში ჩასახლებული ალერგენებია.

❖ ❖ ❖

**საკვებისმიერი ალერგია** არის ზემგრძნობელობა რიგი საკვები ნივთიერებების მიმართ, რომლებიც არაალერგიული ადამიანებისათვის ძირითადად უსაფრთხოა. საკვებს, რომელიც ამა თუ იმ ალერგიულ რეაქციას იწვევს, ჰქვია კვებითი ალერგენი.

**კვებითი ალერგენები ძირითადად ცილოვანი პროდუქტებია:** რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი (ხანდახან ქათმის ხორციც ალერგენია) არაქისი, თხილი, კაკალი, ნუში, თევზი, მოლუსკები, კიბორჩხალები, ხორბალი, ჭვავი, სოია. ისპანახი, პამიდორი, ოხრახუში, ნიახური, ხახვი, ნიორი. მარწყვი, ჟოლო, ატამი, გარგარი, ბალი, ციტრუსები და სხვა.

ძნელი დასადგენია, რატომ და როდის ხდება ადამიანი ალერგიული ამა თუ იმ საკვების მიმართ, მაგრამ, შესაძლებელია და აუცილებელიც, გავარკვიოთ, რომელი პროდუქტი იწვევს ამა თუ იმ ალერგიულ რეაქციას. ამიტომ, იყავით დაკვირვებული, მიაქციეთ ყურადღება რომელ პროდუქტზე გაქვთ ესა თუ ის რეაქცია და აცნობეთ თქვენს ექიმს.

ალერგიული გამოვლინებები მრავალფეროვანი და ინდივიდუალურია, თუმცა, უხშირესად, შემდეგი სიმპტომები გვხვდება: ტუჩების და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის შეშუპება და ქავილი. ჩახეხვის და მოჭერის გრძნობა ხახაში და ხორხში. გულისრევა, შემცივნება, ღებინება, ფაღარათი. კანის შეშუპება და გამონაყარი.

ცნობისათვის, 6-7 მილიონ ამერიკელს აქვს საკვებისმიერი ალერგია; ბავშვების 3 – 8 %-ს აქვს ზემგრძნობელობა ამა თუ იმ პროდუქტის მიმართ, თუმცა აქედან 2%-ში 10 წლის ასკამდე თვითგანკურნება ხდება.

არახისის, თხილის, კაკლის, თევზის მიმართ ალერგია კი, როგორც წესი, მთელი ცხოვრება რჩება.

საკვებისმიერი ალერგია შეიძლება ასთმის გამომწვევადაც მოგვევლინოს.

საკვებისმიერი ალერგიის განკურნება შეუძლებელია, თუმცა შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ, ან მინიმუმამდე დაიყვანოთ ალერგიული რეაქციების ალბათობა.

ალერგიის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა ალერგენთან კონტაქტის თავიდან აცილება. ზოგიერთი ადამიანისათვის კვებით ალერგენთან მხოლოდ შეხებაც კი მძაფრ ალერგიულ რეაქციას იწვევს.

სპორტი

# დინამო მზადებას შეუდგა

გუშინ თბილისის დინამო დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბა და იურაი იარაბეკმა შესვენების შემდეგ პირველი ვარჯიში გამართა.

გუნდთან ერთად ივარჯიშეს გიორგი ლომაიამ (საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, დინამოს 16 წლის შემდეგ დაუბრუნდა), დავით ვოლკოვმა და თორნიკე კირკიტაძემ. გიორგი პაპუნაშვილს მიკროტრავმა აწუხებს და ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

ერთ-ერთი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც იჯარით ბრემენში იმყოფებოდა და ვერდერი 2-ის რიგებში ასპარეზობდა, მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. პაპუნაშვილს ტერფის ტრავმა აწუხებს და დინამოს სამედიცინო პერსონალი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ის საქართველოს ჩემპიონს ევროარენაზე პირველივე მატჩში დაეხმაროს.

**გიორგი პაპუნაშვილი:**

– გერმანიაში გატარებული პერიოდი ჩემთვის წარმატებული არ გამოდგა, მაგრამ საკმაო გამოცდილება მივიღე. თვალნათლივ დავინახე, რა დამაკლდა გუნდში თავის დასამკვიდრებლად. ზუსტად ვიცი, რა მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ ქართველმა ფეხბურთელებმა ევროპის წამყვან კლუბებში მოსახვედრად. თვითკრიტიკული ვარ და ამიერიდან გაათმაგებული ენერგიითა და მონდომებით ვივარჯიშებ. ვთვლი, რომ კარიერის საუკეთესო პერიოდი წინ მაქვს და ამის დამტკიცებას დინამოს უახლოეს მატჩებში ვაპირებ.

წვრთნაში მონაწილეობა არ მიუღიათ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებს, რომლებსაც დასვენების უფლება მისცეს.

დინამოსთან კონტრაქტები ამოეწურათ და კლუბი დატოვეს მეკარეებმა ლიბორ ჰრდლიჩკამ და გიორგი ბეგაშვილმა, მცველებმა გიორგი გველესიანმა და გიორგი გურულმა, ნახევარმცველმა გიორგი ჯანელიძემ. კლუბთან ასევე კონტრაქტი ამოეწურა საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა მცველ ოთარ კაკაბაძეს.

კლუბი განათხოვრების წესით დატოვეს ბაჩანა არაბულმა, რომელიც წლის ბოლომდე იჯარით სამტრედიაში ითამაშებს და საბა ლობჟანიძემ, რომელიც იმავე პირობით ჩიხურას შეუერთდება.

გუნდმა გაიფორმა ბულგარეთის უმაღლესლიგელი ჩერნო მორე ვარნას 28 წლის შემტევი ნახევარმცველი მათიას კურიე და 27 წლის პლოვდივის ლოკომოტივისა და ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველი სტეფან ველევი.

გუნდს უცხოელი ახალწვეულები უახლოეს დღეებში შეუერთდებიან.



20 ივნისს კი დინამო ავსტრიულ დაბა სენტ იოჰანში შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც 4 სპარინგშეხვედრას გამართავს.

23 ივნისს დინამოელები ვარშავის ლეგიას დაუპირისპირდებიან, 26-ში სპარინგ პარტნიორი რაზგრადის ლუდოგორეცი იქნება, 29 ივნისს დინამო მაქაბი ჰაიფას შეხვდება და 4 ივლისს ბოლო სპარინგი კიევის დინამოს წინააღმდეგ გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ასტროპროგნოზი
### 15 ივნისისთვის



**ვერძი** – სიმტკიცე და პრინციპულობა დღის დევიზია. ენერგია ბევრი რამისთვის გყოფნით, თუმცა საკუთარი ინტერესების დათმობა მოგიწევთ. **კურო** – დღე აღსავსეა სასიამოვნო მოულოდნელობებით, სიურპრიზებით. ემოციები მოთოკეთ და თავს დასვენების უფლება მიეცით. **ტყუპები** – თქვენში ორგანიზატორული ნიჭი იღვიძებს. ხელმძღვანელობა თამამად განდობთ საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეებს. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ნებისმიერი წამოწყება კრახისთვის არის განწირული. აჩქარება არ ივარგებს. **ლომი** – შანსი გეძლევათ, დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. თუნდაც ვარსკვლავები არ გწყალობდნენ, საკუთარ თავში მაინც აღმოაჩენთ რესურსს, საჭირო დროს საჭირო საქმე აკეთოთ. **ქალწული** – ფინანსები აკონტროლეთ. თანხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება წარმატებით დამთავრდება. **სასწორი** – ბრმად ნურავის მიენდობით, არც ინტუიციას დაეყრდნოთ. იმოქმედეთ პრაგმატულად და მოვლენები რეალურად შეაფასეთ. **ღრიანკალი** – ძალზე ემოციური დღეა. ეცადეთ, წონასწორობა შეინარჩუნოთ. ანგარიში გაუწიეთ გარშემომყოფთა განწყობასაც. **მშვილდოსანი** – ნურავის მიენდობით. ნებსით თუ უნებლიეთ, ახლობლები და უბრალო ნაცნობები გიღალატებენ და გულს გატკენენ. ჭორებს არ აჰყვეთ. **თხის რქა** – საკუთარ თავსაც და გარშემომყოფებსაც მრავალ მოთხოვნას უყენებთ. გსურთ, ყველაფერი აკონტროლოთ. იმედი გიცრუვდებათ. **მერწყული** – შესანიშნავი დღეა. ნებისმიერ საქმეში ძალიან გიმართლებთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **თევზები** – იფრთხილეთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ, რადგან მისი გამოსწორება საკმაოდ გაგიჭირდებათ. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მოქმედი ვულკანი ანტარქტიდაში; 2. მდინარე გაგრაში; 3; რაიმეს აგებულება, აღნაგობა, წყობა; 4. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 5. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 10. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 11. სპორტული ნაგებობა; 12. ხელოვნური აბრეშუმი; 13. ნახევარკუნძული აშშ-ში; 16. ლეონკავალოს ოპერა; 17. სამლებროები ძველ თბილისში; 19. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 21. თვითმფრინავის რეგულარული ფრენის მარშრუტი; 23. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში.

**თარაზულად**: 6. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 7. წითელი ფერის იტალიური სადესერტო ღვინო; 8. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 9. ტროას ომის გმირი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვრელი კონცერტზე, თეატრალურ წარმოდგენაზე; 15. პირისახისა და სხეულის კანის მოვლა-გალამაზება; 18. მოკლეჩიჩიანი სპორტული ნავი; 20. ბაღი ძველ ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 22. მშრალად მოხარშული ძროხის ან ცხვრის ხორცი; 24. გეომეტრიული ფიგურა; 25. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 26. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ჯაკო“; 2. ესე; 3. პერინიონი; 4. ქააბა; 5. ბარცინო; 8. „ლეგო“; 9. კატორლა; 10. „კიმიგაიო“; 12. ნაზუქი; 13. ალალი; 15. „სვანი“.

**თარაზულად:** 1. ჯორჯაძე; 6. სერენადა; 7. კილტი; 10. კრიკი; 11. აგარა; 13. ატომი; 14. კასიო; 16. „უშბა“; 17. იორდანე; 18. სოფიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მუშტაიდი; 2. გულჩორა; 3. მნათე; 4. ქუთაისი; 5. კოპტები; 10. მოწამეთა; 11. „ხარისთვალა“; 12. ესკადრა; 15. კლეპსიდრა; 16. სპაზმი; 17. ლონდონი; 20. მატიე.

**თარაზულად:** 6. წუღრუღაშენი; 7. ჰუდზონი; 8. იმეტიონი; 9. ქიმერა; 13. კინი; 14. ნამუსი; 18. მარმელადი; 19. ფობია; 21. კაშია; 22. თავადი; 23. სირაჯხანა; 24. სპარსეთი.

# მოღიმარი ბულდოგი შესაძლოა პატრონს დააშორონ



მეზობლების მხრიდან შემოსული მთელი რიგი საჩივრების შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა „მოღიმარი ბულდოგის“ მდგომარეობა შეამოწმეს. ის ცხოველთა თავშესაფრიდან ნიუ-ჯერსის მცხოვრებმა დენ ტილერმა წამოიყვანა. ახლა კი გაირკვა, რომ ამ ჯიშის ძაღლებისთვის აკრძალვა 25 წლის წინ იქნა დაწესებული.

შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ ტილერის ძაღლი სანახევროდ პიტბულია და სანახევროდ პიტბულ-ტერიერი, რის შემდეგაც მის პატრონს აცნობეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძაღლისთვის ახალ ადგილს არ გამონახავს, მისი დაძინება მოუწევთ.

თავშესაფრის გენერალურმა დირექტორმა, საიდანაც ტილერმა ძაღლი წამოიყვანა, განაცხადა, რომ ძაღლის ჯიშის განსაზღვრა არასწორად მოხდა, ვინაიდან საბუთებით ის „წმინდა სისხლის ბულდოგია“, რის შემდეგაც პოლიციელებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პატრონი მოახერხებს იმის დამტკიცებას, რომ მისი შინაური ცხოველი მართლაც ბულდოგია, მაშინ მას შეეძლება, ძაღლი დაიტოვოს.

# ქუჩაში მოსეირნე კოალა ინტერნეტში პოპულარობას იხვეჭს



ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში ერთ-ერთი გამვლელი ავტომობილის მძღოლმა ვიდეოზე გადაიღო კოალა, რომელიც ქუჩაში ტროტუარზე სეირნობდა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს კოალას ზურგზე თავისი პატარა ნაშიერი ჰყავდა შესმული.

ვიდეოს ავტორის თქმით, კოალას ადამიანების არ ეშინოდა, თუმცა ამავე დროს უკმაყოფილო იყო იმით, რომ მას ვიდეოს და სურათებს უღებდნენ.

# მაიმუნებმა კამერა მოიპარეს და სელფი გადაიღეს



თეთრმკერდა კაპუცინებმა კამერა მოიპარეს და მეგობრებთან ერთად რამდენიმე სელფი გადაიღეს. ინციდენტი ეროვნულ პარკ მანუელ ანტონიოში მოხდა.

18 წლის ამერიკელს კოულ ვებერს იმედი ჰქონდა, რომ მაიმუნებთან ერთად ვიდეოს გადაღებას ფარული კამერის დახმარებით შეძლებდა და ამისთვის კამერა ხეზე დააყენა.

ახალგაზრდის თქმით, ის არ მოელოდა, რომ ერთ-ერთი კაპუცინი უბრალოდ გაჯეტს კი არ მიუახლოვდებოდა, არამედ წაიღებდა კიდეც. როგორც ვებერმა განაცხადა, მაიმუნებმა კამერა ათასნაირად ატრიალეს, გემოც გაუსინჯეს და შემდეგ გადააგდეს.

ახალგაზრდას ტელეფონი კამერასთან იყო ჩართული, ამიტომ ის პირდაპირ ეთერში უყურებდა იმას, რაც ხდებოდა.

— როდესაც გადაღებული მასალა სხვებს ვაჩვენე, უმრავლესობას მოეწონა, — განაცხადა ვებერმა.

# ლონდონში შიშვლებისთვის რესტორანი გაიხსნა



ლონდონში გაიხსნა რესტორანი ბუნუადი, რომელშიც სტუმრებს სადილობა სრულიად შიშვლებს შეეძლებათ.

აღსანიშნავია, რომ ამ დაწესებულებაში სტუმრობის სურვილი უკვე გამოთქვა 32 ათასმა ადამიანმა.

ამ დაწესებულების დამფუძნებლების თქმით, ასეთი რესტორნის იდეა მდგომარეობს საკვების ბუნებრივად მიღებაში. სტუმრებს კერძებს ხელით დამზადებული თიხის დაფებით მიართმევენ საკვებად გამოსადეგი დანა-ჩანგლითა და კოვზებთან ერთად. ტრაპეზი მხოლოდ სანთლების შუქზე გაიმართება, ვინაიდან რესტორანი და მისი სამზარეულო დენისა და ბუნებრივი აირის გარეშე იმუშავებს.

რესტორნის შესასვლელში სტუმრებს შესთავაზებენ, მოიხსნან ნივთები, ასევე მობილური ტელეფონები და სპეციალურ კარადებში დატოვონ. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ნახევრად შიშველ მდგომარეობაში მყოფი პერსონალი მოემსახურება.

# ჩაძინებულ ესპანელ მეცხვარეს ცხვრები გაექცნენ

ესპანეთის ქალაქ უესკას მახლობლად, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ჩაძინებულ მეცხვარეს ათასზე მეტი ცხვარი გაექცა.

როგორც ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა განაცხადა, ქალაქში სეირნობდა, როდესაც ქალაქის ცენტრი ცხვრის ფარით აივსო. მისი სატელეფონო ზარის შემდეგ ადგილზე მისულმა პოლიციელებმა გაჭირვებით მოახერხეს ცხვრებისთვის თავი ერთ ადგილას მოეყარათ და შემდეგ უკან, მეცვარისთვის მიერეკათ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა მოხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# 13 ივნისს დაღუპულებისთვის ჰიმნი დაიწერა

2015 წლის 13 ივნისი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეა თბილისის უახლეს ისტორიაში. გადაუღებელმა წვიმამ წყალდიდობა გამოიწვია და ათეულობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. რამდენიმე მოქალაქე კი დღესაც დაკარგულად ითვლება.

ტრაგედიიდან ერთი წლისთავზე მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა 13 ივნისის ტრაგედიის მსხვერპლებს ჰიმნი-სიმღერა მიუძღვნა და მისი პრეზენტაცია სწორედ ტრაგედიის წლისთავზე გამართა.

„იდგა თბილისი თავდაუხრელი“ — ასე ეწოდება კომპოზიციას, რომლის ავტორიც კომპოზიტორი ნუგზარ თუშიშვილია, ლექსის ავტორი მისი ვაჟი, გიორგი თუშიშვილი, არანჟირება კი საოცრად ნიჭიერ გოგოს ცირა ბზიშვილს ეკუთვნის.

— ჩვენ ძალიან გვინდოდა ეს სატკივარი ჩვენი საქმით გადმოგვეცა. დაიწერა ულამაზესი სიმღერა, რომელიც სტიქიის წლისთავზე გავაჟღერეთ და ყველა იმ ადამიანის ნათელ ხსოვნას მივუძღვენით, რომლებიც წყალდიდობამ იმსხვერპლა, — განაცხადა ტატო გოდერძიშვილმა.

# ფიროსმანის „შველი წყლის პირას“ ხელოვნების მუზეუმს გადაეცემა



ხელოვნების მუზეუმს ფიროსმანის კიდევ ერთი ნამუშევარი გადაეცემა. სოთბის აუქციონზე ბიძინა ივანიშვილის მიერ 629.000 ფუნტ სტერლიგნად ნაყიდი „შველი წყლის პირას“ ხელოვნების მუზეუმში დაიდებს ბინას.

ამის შესახებ განცხადება ბიძინა ივანიშვილმა თავად გააკეთა.

სოთბის აუქციონი ლონდონში გასულ კვირას გაიმართა, სადაც ნიკო ფიროსმანი ლადო გუდიაშვილთან ერთად რუსული არტის სახელით მონაწილეობდა. აუქციონზე ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის და მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები გაიყიდა. მათთან ერთად წარმოდგენილი იყო ავთო ვარაზისა და ოთარ ჩხარტიშვილის ნახატებიც.

ნიკო ფიროსმანის ტილოს „შველი წყლის პირას“ საწყისი ფასი 150.000 ფუნტი სტერლინგი იყო. ნახატი 629.000 ფუნტ სტერლინგად ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა ფიროსმანის ტილო იყიდა. გასულ წელს მან „კრისტის“ აუქციონზე გატანილი ნიკო ფიროსმანის ტილო „არსენალის მთა ღამით“ 1,5 მილიონ დოლარად შეიძინა და ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცა. აჩუქებს თუ არა საქართველოს ბიძინა ივანიშვილი ფიროსმანის მორიგ ნამუშევარს, ამ ეტაპზე უცნობია.

ბიძინა ივანიშვილმა შარშან ფიროსმანის კიდევ ერთი ნამუშევარი „არსენალის მთა ღამით“ კრისტის აუქციონზე იყიდა და საჩუქრად ხელოვნების მუზეუმს გადასცა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნიკალას ტილოში მილიონ ნახევარი დოლარი გადაიხადა.

# სოფი ლორენი თბილისშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

იქნება ერთიანობა კინემატოგრაფის, ბალეტის, ოპერის და ასევე, სიყვარულის. ძალიან მოხარული ვარ, რომ სოფიმ თავისი თავი ისეთ კეთილშობილ საქმეს მიუძღვნა, როგორიც არის ბავშვებისთვის დახმარება.

ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გრანდიოზულ ღონისძიებას წარმოადგენს. ახალი სპექტაკლის პრემიერა 15, 17 და 18 ივნისს შედგება, რომელზეც იტალიური სადადგმო ჯგუფი მუშაობს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ნინო სურგულაძე, ნინო ანანიაშვილი და თბილისის ოპერის საბალეტო დასი.

15 ივნისის პრემიერას იტალიელი კინოვარსკვლავი სოფი ლორენი დაესწრება, სპექტაკლს კი მისი ვაჟი, კარლო პონტი უმცროსი უდირიჟორებს. 15 ივნისის საქველმოქმედო საღამოდან შემოსულ თანხას ფონდი „ნატვრის ხე“ ბავშვების სიცოცხლის გადარჩენას მოახმარს.

წარმოდგენის დაწყებამდე ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფი ლორენთან შეხვედრის შესაძლებლობა ყველას მიეცემა.

— მიხარია, რომ ჩამოვედი უკეთილშობილესი მისიით და პატარების სიცოცხლის გადასარჩენად ერთად ვდგავართ. მე თქვენ მიყვარხართ, — განაცხადა თბილისის აეროპორტში სოფი ლორენმა.

ნინო სურგულაძის განცხადებით, ფონდი პირველ რიგში იმ ბავშვებს დაეხმარება, რომლებისთვისაც თითოეული წუთი უმნიშვნელოვანესია:

— ისტორიული დღეა, გენიალური და შეუდარებელი ქალბატონი სოფია ლორენი საქართველოშია და ვულოცავ ყველას. ის ქველმოქმედებისთვის ჩამოვიდა ჩვენთან. ჩვენ 9 წლის წინ შევხვდით ერთმანეთს. საოცარი ადამიანია, ახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა დეტალებში, საოცარი მეხსიერება აქვს და საერთოდ, საოცარი ქალბატონია, ყველა კუთხით, მსოფლიო პრესაც წერს, რომ ის თბილისში ჩამოვიდა საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრებად, ამიტომ გელოდებით ყველას, 15 ივნისს თითოეულ ადამიანს მიეცემა სოფი ლორენის ნახვის შესაძლებლობა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ამერიკის ზოოპარკიდან ლეოპარდი გაიქცა



შორეულ აღმოსავლური სახეობის ლეოპარდი გაიქცა აშშ-ს ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტის ზოოპარკიდან, იმ მომენტში, როდესაც სკოლამდელი ბავშვების ექსკურსია იმართებოდა.

ხალხი იძულებული გახდა, იქვე ახლომდებარე ტუალეტებისთვის შეეფარებინა თავი, სანამ დაწესებულების თანამშრომლები ცხოველისთვის დამამშვიდებელი ნემსის გაკეთებას ცდილობდნენ. ზოოპარკის თანამშრომლები ცდილობენ გაარკვიონ, თუ როგორ მოახერხა ლეოპარდმა ვოლიერიდან გამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ ის ყოველი მხრიდან საკმაოდ მაღალი კედლითაა შემოსაზღვრული.

ეს შემთხვევა ფართო განხილვის თემად იქცა სოციალურ ქსელებში და ლეოპარდის სახელად ზეიასთვის პაროდიული აკაუნტიც კი გაიხსნა ტვიტერში, ხოლო პირველი შეტყობინება იყო: „ბოლოს და ბოლოს თავისუფალი ვარ!“

შორეულ აღმოსავლური ლეოპარდი იშვიათ სახეობად ითვლება და ის გადაშენების საფრთხის წინაშეა. ველური ბუნების საერთაშორისო ფონდის მონაცემებით, ბუნებაში სულ 60 ლეოპარდია დარჩენილი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 15 ივნისი**

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 "**ევრო – 2016**" 16.30 **ევრო-2016.** 16.50 **ფეხბურთი. ევრო 2016. რუსეთი – სლოვაკეთი.** 19.25 **ევრო-2016.** 19.50 **ფეხბურთი. ევრო 2016. რუმინეთი – შვეიცარია.** 22.00 **ევრო-2016.** 22.50 **ფეხბურთი. ევრო 2016. საფრანგეთი – ალბანეთი.** 01.00 **ევრო-2016.** 01.25 მხ/ფ "**კასობრიობის შვილი**" (ჯ.მური)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 22.20, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "მესამე ხანა" 14.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.25 **რაგბი** – მსოფლიო ჩემპიონატი: **ირლანდია – საქართველო** 23.00 "ნამდვილი დრო" 00.00 "მოამბე" (5 ენაზე)

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 საქველმოქმედო ფონდი "ნატვრის ხე" 00.00 სტუმრად იუმორინასთან 01.00 მხ/ფ "**უხამსი წინადადება**" 03.30 მხ/ფ "**ტერმინალი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 3 23.00 ნანუკას შოუ 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 2.40 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 0.00 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 1.00 მხ/ფ "**შიშის 12 დღე**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დ/ფ "ნოდარ მამისაშვილი" 11.15 ერთხელ ბავშვობაში 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.20 ღვთის სახლი 16.00 კონცერტი "სამარტინის გუნდი, ეროვნული სიმფონიური ორკესტრი" 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ჩარი რამა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 00.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ბერძენი ქალი**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05, 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00 "კონტაქტი" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**სახიფათო ქალი**" 22.35 სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" 23.30 სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**15 ივნისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.1291

ევრო — 2.3999

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0176

100 რუსული რუბლი — 3.2381

## ამინდის პროგნოზი 15 ივნისისთვის




## 14 ივნისიდან

# ალბერტო მორავია ჩოჩარა



### ოქროს ბიბლიოთეკა მე-6 ტომი

წიგნში დიდი მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა იტალიის მოსახლეობას ოკუპაციის წლებში.

1960 წელს ვიტორიო დე სიკამ ამ რომანის მიხედვით გადაიღო ფილმი. ის ეხება იტალიის პროვინცია ჩოჩარაში მცხოვრებ ქალს, რომელსაც სურს, მეორე მსოფლიო ომის საშინელებებისგან დაიცვას თავისი მცირეწლოვანი შვილი.

ფილმში მთავარ როლს სოფი ლორენი ასრულებს.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 17 ივნისიდან

# ქართული ჯადოსნური ზღაპრები




**მაგარი ყდა, 200 ფერადი გვერდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

# რონალდ კუმანი ევერტონის მწვრთნელი გახდა

ჰოლანდიელი სპეციალისტი რონალდ კუმანი მომავალი სეზონიდან ევერტონს გაწვრთნის. ეს ინფორმაცია თვითონ კუმანმა დაადასტურა.

კუმანმა ევერტონთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო მისი ანაზღაურება ჯერჯერობით უცნობია.

ევერტონი მწვრთნელის გარეშე სეზონის ბოლოს დარჩა, როდესაც დაკავებული თანამდებობიდან ესპანელი რობერტო მარტინესი გაათავისუფლეს.



კუმანი 2014 წლიდან საუთჰემპტონს ედგა სათავეში და მისი ხელმძღვანელობით საუთჰემპტონმა ორი საკმაოდ წარმატებული სეზონი ჩაატარა.

ინგლისში წასვლამდე კუმანი თავის მშობლიურ ჰოლანდიაში მოღვაწეობდა.

# სოფიან ფიგული ვესტ ჰემის ფეხბურთელია

ალჟირელი ფორვარდი სოფიან ფიგული, რომელიც წლების განმავლობაში ვალენსიაში თამაშობდა, მომავალი სეზონიდან ინგლისური ვესტ ჰემის ღირსებას დაიცავს.



ფიგული სამწლიან კონტრაქტს ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს.

ალჟირელი ფეხბურთელის განცხადებით, ის ძალიან ბედნიერია ამ ტრანსფერით, რადგან პრემიერლიგაში თამაშზე ყოველთვის ოცნებობდა.

მისი თქმით, ვესტ ჰემი ძლიერი გუნდია, რომელსაც უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია.

ფიგულიმ ვალენსიაში 243 მატჩი ჩაატარა და თავის გამოჩენა 42-ჯერ შეძლო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



# იუმორი

კარზე აკაკუნებენ. კარს პატარა ბავშვი აღებს. კართან მდგომი მამაკაცი ეკითხება:
– მშობლები სახლში არიან?
– დიახ.
– მიდი, დაუძახე.
– სააბაზანოში არიან და დააგვიანდებათ.
– რატომ?
– მამამ დამიძახა, ვაზელინი მომაწოდეო და სუპერწებო მივაწოდე...

•••

გოგო ბიჭს ეუბნება:
– ძვირფასო, მალე მამა გახდები.
– ეეჰ, მე კი კოსმონავტობა მინდოდა...

•••

ლოთი მეხუთე ბოთლს ცლის. შვილი ეკითხება:
– მამა, შეიძლება, ბოთლებს ჩავაბარებ და პურს ვიყიდი?
– მიდი, შვილო, მიდი, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ?

•••

ბიზნესმენთან მდივანი შედის და ეუბნება:
– გარეთ ვიღაც ბატონი გელოდებათ.
– რა უნდა?
– ამბობს, რომ მისი 100 ათასი გმართებთ.
– როგორ გამოიყურება?
– ისე გამოიყურება, რომ ჯობს, გადაუხადოთ, ბატონო.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:
– თმები გცვივა?
– არა.
– აბა, იპუტავ?!

•••

ბავშვი მამას ეკითხება:
– მამი, რით განსხვავდება ქალი ვირისგან?
– ვირს გააჩნია.

•••

ექიმი პაციენტს ეუბნება:
– აი, შენ წამალი და დღეში შვიდი ჩაის კოვზი მიიღე.
– ექიმო, დავიღუპე!
– რა მოხდა?
– სახლში მხოლოდ სამი ჩაის კოვზი მაქვს.

•••

საწარმოს ერთი თანამშრომელი მეორეს შესჩივის:
– რა გვეშველება, ჩვენთან თანამშრომლების შემცირებას იწყებენ.
– შენ მაგაზე არ ინერვიულო. უბრალოდ, უფროსი ცოლს შორდება და სამსახურიდან მის ნათესავებს ათავისუფლებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 16 ივნისიდან




# მარიო ვარგას ლიოსა ცუდი გოგოს ოინები

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

„ცუდი გოგოს ოინები" დიდი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატ მარიო ვარგას ლიოსას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რომანია.

მწერალი მოგვითხრობს ქალისა და მამაკაცის რთული ურთიერთობის შესახებ, რომელიც ადრეულ სიყმაწვილეში იწყება და თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში სდევს პერსონაჟებს.

წიგნს ვრცელი გეოგრაფია აქვს – ლიმა, პარიზი, ლონდონი, ტოკიო, მადრიდი, სადაც ორიგინალურად ერწყმის ერთმანეთს ამ ქალაქებში მომხდარი უჩვეულო მოვლენები და რომანის გმირების არაორდინარული ურთიერთობა.

# სოფი ლორენი თბილისშია

იტალიელი ვარსკვლავი სოფი ლორენი თბილისშია. მის ვიზიტს საქართველოში უკვე გამოეხმაურა მსოფლიო პრესა. 81 წლის კინოლეგენდა ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდ „ნატვრის ხის" ერთ-ერთი ბოლო ღონისძიების მხარდასაჭერად ჩამოვიდა.

იტალიის ელჩ ანტონიო ენრიკო ბარტოლის განცხადებით, მისთვის საქართველოში იტალიელი კინოვარსკვლავის მიღება დიდი პატივია:

– იტალიის ელჩისთვის დიდი პატივია, შეძლოს საქართველოში მიიღოს სოფი ლორენი, რომელიც სილამაზის სიმბოლოა. 15 ივნისის სპექტაკლი

გაგრძელება მე-11 გვერდზე




# ჯაბა ჯიღაურით ევროპული კლუბები დაინტერესდნენ



თბილისის დინამოს 23 წლის შემტევმა ჯაბა ჯიღაურმა ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა, რის შემდეგაც მან ესპანური და ბელგიური კლუბების ყურადღება მიიქცია.

ჯიღაური დინამოშიც გამორჩეული ფეხბურთელია და გასულ სეზონში მან 13 გოლის გატანა შეძლო.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ გუნდებზეა საუბარი, მაგრამ ის, რომ ინტერესი არსებობს, თვითონ ჯიღაურმა დაადასტურა. დინამოს ფეხბურთელმა განაცხადა, რომ დეკემბრამდე დინამოში დარჩება, ხოლო მერე რა მოხდება, ეს ჯერ არ გადაუწყვეტია.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთთან ერთადერთი გოლი ოქრიაშვილმა სწორედ ჯაბა ჯიღაურის პასით გაიტანა.

# ნანი მილანის ინტერში გადადის

პორტუგალიელი შემტევი ნახევარმცველი ლუიშ ნანი მომავალ სეზონში მილანის ინტერის ღირსებას დაიცავს. ნანი ამჟამად თურქულ ფენერბახჩეში თამაშობს და ინტერს კონტრაქტის თაობაზე უკვე შეუთანხმდა.



პორტუგალიელი ინტერთან 3-წლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს, რომლის მიხედვითაც მისი ანაზღაურება წელიწადში 3 მილიონი ევრო იქნება.

ნანიმ სახელი მანჩესტერ იუნაიტედში თამაშით გაითქვა, სადაც მის გვერდით კრიშტიანო რონალდუ იყო, მაგრამ არასტაბილურობის გამო მან იუნაიტედი დატოვა. ფენერბახჩეში ნანი 2014 წელს გადავიდა სათამაშოდ.

# კროსვორდი



**შვეულად**: 1. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში; 2. მუსიკალური პრემია აშშ-ში; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. იაპონელი მოდელიორი; 5. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 10. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. დიდი სათევზაო ბადე; 15. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად**: 1. ყავის მწარმოებელი ფირმა; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 13. უნგრული ღვინო; 14. შავი ფერის ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 18. აპრილის თვის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

ლურჯი წითელი ყვითელი შავი